THE NEWSPAPER SAKHALKHO GAZETI AND THE FRONI VALLEY

„სახალხო გაზეთი“ და ფრონის ხეობა

David Akhlouri
Doctor of History,
Associate Professor of Gori State University
Gori, Chavchavadze St., No. 53, 1400, Georgia,
+995599335521, datoakhlouri@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract. The paper analyzes publications about the villages of the Froni Valley that appeared in the newspaper Sakhalkho Gazeti ("People's Newspaper").

Sakhalkho Gazeti was the daily political and literary organ of Georgian Social-Federalists. It was published between 1909 and 1914 and devoted significant attention to pressing national issues, addressing the problems, hardships, and struggles of the Georgian people.

A portion of the correspondence focused on agricultural issues. The authors often discussed the quality of the harvest and its storage. Reports frequently mentioned the destruction of crops caused by droughts, rainy weather, or hail, which received considerable attention in the newspaper.

Among the problems faced by the population, a particularly notable one was the spread of the acute infectious disease cholera in the Froni Valley. The publications discussed the causes and geographic spread of the disease, as well as doctors' lack of professionalism and the neglect shown toward patients.

Superstition was deeply rooted in Kartli, including the Froni Valley. One of its manifestations was fortune-telling. The paper provides numerous examples of how fortune tellers, merchants, and cunning opportunists of that time took advantage of peasants' illiteracy and gullibility. As a result, there were frequent calls for the establishment of schools and the provision of proper education for the population.

To study the social conditions of the Froni Valley, an important source is the series of publications concerning issues of serfdom and land reforms carried out in the valley.

The paper also discusses in detail the churches and monasteries of the Froni Valley and the national treasures preserved there, which were repeatedly targeted by invaders of different faiths.

Key words: Froni Gorge, education, landlord, strangers, priest, orchards and vineyards, icons of the moon, household, plowing and sowing.

დავით ახლოური
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995599335521, datoakhlouri@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი. ნაშრომში გაანალიზებულია „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციები ფრონის ხეობის სოფლების შესახებ.

„სახალხო გაზეთი“ ქართველი სოციალ-ფედერალისტების ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული ორგანო გახლდათ, გამოდიოდა 1909-1914 წლებში და თავის ფურცლებზე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ქვეყანაში არსებულ საჭირბოროტო საკითხებს, ითვალისწინებდა ქართველი ხალხის პრობლემებს, მათ ჭირსა და ვარამს.

კორესპონდენციების ერთი ნაწილი სოფლის მეურნეობის საკითხებს ეძღვნება, ავტორები ხშირად საუბრობენ მიღებული მოსავლის ავ-კარგიანობასა და მის დაბინავებაზე. ხშირი ყოფილა გვალვის ან წვიმიანი ამინდებისა და სეტყვის გამო ჭირნახულის განადგურების ფაქტები, რასაც გაზეთის ფურცლებზე სათანადო ყურადღება ექცეოდა.

მოსახლეობის წინაშე არსებულ პრობლემებს შორის გამოკვეთილია ფრონის ხეობაში გავრცელებული მწვავე ინფექციური დაავადება ქოლერა, პუბლიკაციებში საუბარია მისი გავრცელების მიზეზებსა და არეალზე, ასევე ექიმების არაპროფესიონალიზმსა და ავადმყოფების მიმართ გამოჩენილ უყურადღებობაზე.

ქართლში და მათ შორის ფრონის ხეობაში მკვეთრად იყო ფეხმოკიდებული ცრუმორწმუნეობა, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება მკითხაობა გახლდათ, ნაშრომში მოყვანილია არაერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ სარგებლობდნენ გლეხიკაცის უსწავლელობითა და მიმნდობი ხასიათით მკითხავები, ვაჭრები თუ იმ დროის გაქნილი მედროვენი. ამიტომაც ხშირად ისმოდა მოწოდება - გახსნილიყო სკოლები და ხალხს სათანადო განათლება მიეღო.

ფრონის ხეობის სოციალური მდგომარეობის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა პუბლიკაციების ციკლი, რომელიც ბატონყმობის საკითხებსა და ხეობაში გატარებულ მიწის რეფორმებს ეხება.

ნაშრომში ასევე ვრცლადაა საუბარი ფრონის ხეობის ეკლესია-მონასტრებსა და იქ არსებულ ეროვნულ საგანძურზე, რომელიც ბევრჯერ გამხდარა ათასი რჯულის მოძალადის სამიზნე.

საკვანძო სიტყვები: ფრონის ხეობა, სწავლა-განათლება, მემამულე, ხიზნები, მღვდელი, ბაღ-ვენახები, ოქონის ხატები, კომლი, ხვნა-თესვა.

შესავალი. XIX-XX საუკუნეების ქართული პრესა საყურადღებო ცნობებს გვაწვდის საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხის ფრონის ხეობის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული საკითხების შესახებ. მათი შესწავლა და სიღრმისეული ანალიზი ფრიად საშურ საქმედ გვევლინება, მითუმეტეს დღეს, როცა ხეობის გარკვეული ნაწილი ოკუპირებულია და ფრონისპირა სოფლების ნამდვილი, გაუყალბებელი ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენა მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად უნდა იქცეს კონფლიქტის დასარეგულირებლად.

საგაზათო პუბლიკაციებში ხაზგასმითაა საუბარი მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფით პრობლემებზე, თავად-აზნაურებისა და ყმა-გლეხების ურთიერთობებზე, დემოგრაფიულ ვითარებაზე, სწავლა-აღზრდისა და ეთნოგრაფიულ საკითხებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია „სახალხო გაზეთი“, სადაც ფრონის ხეობის სოფლების შესახებ არაერთ საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით. იგი ქართველი სოციალ-ფედერალისტების ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული ორგანო გახლდათ. გამოდიოდა თბილისში, 1909-1914 წლებში [1] . გაზეთის გამომცემელ-რედაქტორები იყვნენ: დ. ხრამელაშვილი, ი. სონღულაშვილი, ნ. კურდღელაშვილი და ა. ჭუმბაძე.

ნაშრომში გამოქვეყნებული და გაანალიზებული პუბლიკაციები უნიკალური პირველწყაროა საკვლევი პერიოდის ფრონის ხეობის ისტორიის მთელი რიგი საკითხების ახლებურად წარმოსაჩენად.

მეთოდები. საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ფილოლოგიურ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ფრონის ხეობის შესახებ „სახალხო გაზეთში” გამოქვეყნებული პუბლიკაციების კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, ამა თუ იმ სოფელში არსებული ვითარება, მცხოვრებთა ეთნოგრაფიული ყოფა... დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება გავაანალიზოთ ფრონის ხეობაში მცხოვრები სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების სოციალური ურთიერთობები. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები. ნაშრომში „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანალიზის შედეგად შესწავლილია XX საუკუნის დასაწყისის ფრონის ხეობის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, სწავლა-აღზრდის საკითხები, იმ დროისათვის არსებული სკოლების მდგომარეობა, ხაზგასმულია განათლების ახალი კერების დაარსების აუცილებლობა.

წარმოჩენილია ფრონის ხეობის მცხოვრებთა ეთნოგრაფიული ყოფა, სოფლების წინაშე მდგარი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართლელი გლეხკაცის დუხჭირ ცხოვრებას, ხეობაში გახშირებულ აბრაგობას, ცრუმორწმუნოებას, სხვადასხვა დაავადებებს... ნაჩვენებია მათი გამომწვევი მიზეზები და აღმოფხვრის გზები.

მსჯელობა. ფრონის ხეობის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მემინდვრეობას უკავშირდებოდა და მათი ეკონომიკური ყოფის განმსაზღვრელი სწორედ მარცვლეული კულტურებიდან მიღებული მოსავალი გახლდათ. აქედან გამომდინარე, ქართული პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოწეული ჭირნახულის ავ-კარგიანობის, მოვლა-პატრონობისა და დაბინავების პრობლემებს.

[1] 1914 წლიდან ჩაანაცვლა „სახალხო ფურცელმა“.

1910 წლის 11 ივნისის ნომერში დვანელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულია ვრცელი პუბლიკაცია სოფელ დვანის შესახებ. ავტორი აღფრთოვანებულია ფრონის ხეობელი გლეხის მოსავლით: „გაღაღანებული ბაღ-ვენახები და ზღვასავით მღელვარე ყანები სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს. საკმარისია ერთი თვალი გადაავლოს კაცმა მდ(ინარე) ფრონის ხეობას, გლეხის ნაშრომ-ნაამაგარ ჭირნახულებს, რომ დასტკბეს და თავისთვის წაილაპარაკოს: „ეხლა კი იქნება წელში გასწორდეს მიწის მშრომელი გლეხი და გაისტუმროს ათასნაირი გადასახადი“ (დვანელი, 1910 ა: 2-3).

სამწუხაროდ, გლეხს შრომა ყოველთვის არ უფასდებოდა, გვალვიან ზაფხულს ან გადაუდებელ წვიმებს შესაძლებელია ჭირნახულისთვის დიდი ზიანი მიეყენებინა. ზოგჯერ სეტყვა ანადგურებდა მთელი წლის ნალოლიავებ ნაშრომს... მთავარია არაფერი ევნოს და „სიმშრალით ჩააბინავოს“ გლეხმა თავისი მოსავალი, თორემ აგერ ორ-სამი წელიწადია არაფერი მოსულაო - აღნიშნავდა დვანელი.

წერილში იმ დროის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ყოფით პრობლემას ექცევა ყურადღება, კერძოდ, ჩარჩ-ვაჭართა გაუმაძღარ ბუნებას, რომლებიც გლეხთა გაჭირვებით სარგებლობდნენ: „როცა გაუჭირდება გლეხს, იძულებული ხდება ისევ თავის დამღუპველ ჩარჩებს მიმართოს, აიღოს ვალი, ისიც თუ ენდნენ, და ერთი-ორად ვექსილი დაუწეროს, რომლის გადახდაც ლოდივით აწვება და შვილი-შვილამდე ვეღარ თავისუფლდება“. ახალი მოსავლის მიღებამდე მოსახლეობის ნახევარზე მეტი სარჩოს გარეშე ყოფილა დარჩენილი და გულის ფანცქალით ელოდნენ თურმე ჭირნახულის გაჭრას. მანამდე კი გაჭირვებით ყიდულობდნენ ჩარჩებისგან სიმინდს, რომელიც ფუთი[2] 1 მანეთი ღირებულა და ასე ირჩენდნენ თავს. ვაჭრებს ამჯერადაც „დაბევებული“ ჰქონიათ ფრონელთა მოსავალი, ყიდულობდნენ ჩალისფასად და ყიდიდნენ მამასისხლად.

ავტორს ვაჭართა პარპაშის, ცრუმორწმუნეობის, ერთმანეთის შურის, მტრობისა და გაუტანლობის სათავედ უსწავლელობა და სკოლების არ ქონა მიაჩნდა. იშვიათად ნახავთ აქ წერა-კითხვის მცოდნე გლეხს, ამიტომაც არის ყველასაგან დაბრიყვებული, ყველა მას „უჩაკუნებს“ და საწველ ფურადაა ქცეულიო. განსაკუთრებით რთული მისაღებია ფრონელთა ურთიერთ შური: „იმის მაგივრად, რომ საერთო საქმისათვის ერთად სწიონ ჭაპანი, პირ-იქით ერთი-მეორის დაღუპვას სცდილობენ. ვისაც კი ცოტა რამე აბადია და სიტყვა ეთქმის სოფელში ბატონად უხდება დანარჩენებს და მათ დაჩაგვრას სცდილობს“ (დვანელი, 1910 ა: 2-3).

როგორც ყველგან, ფრონის ხეობაშიც ბევრს ჰქონია მიწის შეძენის სურვილი, გლეხი მზად ყოფილა თავისი საწადლის მისაღწევად ყველაფერი გაეყიდა, მაგრამ ერთმანეთის ჯიბრით მიწის ფასს სწევდნენ, შემდეგ უფრო შეძლებულებს უვარდებოდათ ხელში და ღარიბები ისევ უმიწაწყლოდ რჩებოდნენ. ავტორის მონათხრობით, დვანში იყიდებოდა ელიზბარ ფავლენიშვილის კუთვნილი წვრიმალა ტყე „საკვირიკე“ თავის ახოებით. თავადს დვანელებისთვის შეუთავაზებია სასოფლოდ ეყიდათ. ჯერ დათანხმებულან, მერე „გლეხის ახლად გამოჩეკილი პატარა ბურჟუების“ პავლე კოპაძისა და ვანო მამაგულაშვილის ჩარევით, აზრი შეუცვლიათ: „ამ ვაჟ ბატონებმა მიიამხანაგეს დვანის მახლობლად ჩამოსახლებული ოსები და იმათთან ერთად შეისყიდეს“. ბოლოს კი ისე გათამამებულან, რომ სამების ეკლესიის მოედანი მოუხვნიათ, რომელსაც სოფელი საქონლის საძოვრად იყენებდა. საუკუნეებია არ მოხნულა ეს მიწა და აქამდე სასოფლოდ ითვლებოდაო - წერს ავტორი. იგი ბურჟუების ხელში ჩავარდნილ ფავლენიშვილისეულ წვრიმალა ტყეზეც წუხს: „წინად უფრო თავისუფლად სარგებლობდა სოფელი ამ წვრიმალა ტყით, ვიდრე ეხლა. არც საქონლის ძოებას უშლიდა ვინმე. ეხლა კი სახრეს ვერავინ მოსჭრის ახალ ბატონების დაუკითხავად, თუმცა კი მოძრაობის დროს დიდი გულის შემატკივრები იყვნენ დაჩაგრულებისა. ამაზეა ნათქვამი ქართული ანდაზა:

[2] უდრიდა 16.3805 კგ-ს

„მანახეთ, ხან ისე და ხან ასეო“. დვანელი ახალი ეპოქის ყვარყვარეებად მიიჩნევდა კოპაძესა და მამაგულაშვილს, რომლებიც დროის შესაფერისად მოქმედებდნენ... თუმცა მომავალს მაინც იმედით უყურებდა - „ერთი დრო არავის შერჩებაო“ (დვანელი, 1910 ა: 2-3).

იმავე წლის 21 აგვისტოს ნომერში დვანელი ყურადღებას ამახვილებს იმ სავალალო მდგომარეობაზე, რომელიც ფრონის ხეობაში ქოლერის გავრცელებით იყო გამოწვეული: „სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება მდ(ინარე) ფრონის ხეობა და დიდ გაჭირვებას განიცდის იგი ამ ჟამად, როცა საშიში ეპიდემიური სენი ხოლერა გვეწვია. ჩვენ დაბა-ქალაქებში კიდევ ემჩნევა ცოტაოდენი მზადება ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ სოფლები სრულიად მოუმზადებლები ჰხვდებიან მას.

თუმცა ხოლერას ჯერ ყველგან არ უჩენია თავი, მაგრამ შესაძლებელი კია იმისი ფართო გავრცელება” (დვანელი, 1910 ბ: 2-3). მწვავე ინფექციური დაავადება ქოლერა ახალი არ იყო ქართლის ხეობებისთვის, მას XIX საუკუნის ბოლოს გორის მაზრის მთელ რიგ სოფლებში მკვეთრად უჩენია თავი. 1892 წლის 9 აგვისტოს „ივერიის“ პირველი გვერდის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ აღნიშნული ავადმყოფობის შესახებ პუბლიკაციებს ეთმობა, რაც, იმ დროის საზოგადოებაში პრობლემის აქტუალობაზე მიგვითითებს. „ივერია“ თვითონვე ჩასდგომია სათავეში ქოლერისაგან დაზარებულთა დასახმარებლად და დავაადებასთან საბრძოლველად თანხის შეგროვებას (ივერია, 1892 ა: 1). გაზეთის ცნობით, სოფელ ბრეთში ავად გამხდარა 10 და გარდაცვლილა 4 ადამიანი (ივერია, 1892 ბ: 1).

როგორც ავტორი წერს, ქოლერისთვის ნიადაგი მომზადებული ყოფილა, რადგან სისუფთავეს არ იცავდნენ - ყოველ ფეხის გადადგმაზე ათასნაირ სიბინძურეს შევხვდებითო. უსუფთაობა, რომ დაავადების გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, ამის შესახებ XIX საუკუნის 90-იან წლებშიც მიგვანიშნებდა ილიასეული გაზეთი; „ეს ამოსავარდნი ჭირი“ აბლაბუდესავით მოსდებია მდინარე ლიახვის ორივე მხარეს და მუსრს ავლებსო - ვკითხულობთ სარედაქციო კორესპონდენციაში „გაკვრით“. მომეტებულად დაზარალებულა ის სოფლები, რომლებიც „ლიახვიდგან გაყვანილს რუებზედ მდებარეობდა“, რადგან „ამ პატარა რუებში“ წყალი საშინლად უსუფთაო და ჭუჭყიანი ყოფილა, მასში დაუდევრად ყრიან ათას ნაგავსა და სიბინძურესო. შემაშფოთებელია წერილში გამოქვეყნებული რედაქციაში სტუმრად მყოფი ლიახვისპირელი მოძღვრის მონათხრობი: „მთლად ამოვწყდი, ცოლი, შვილი სულ ერთიანად გამიწყდა, მრევლი საშინლად დაზარალდა, ბევრი ვწერე, სადაც ჯერ არს, ვეხვეწე, ვემუდარე, გვიშველეთ, ხელი გაგვიმართეთ, მაგრამ პატრონი არავინ გაგვიჩნდა და ასე უნუგეშოდ ვიღუპებითო. ჩაფარი რა არის, ისიც-კი არ იყო, რომ ხალხისთვის ეთქვა, რუში ნაგავს ნუ ჩაჰყრით, ჭუჭყიანის წყლით მოიწამლებით, საფლავი მიცვალებულთათვის ღრმად გათხარეთ, თორემ მერმისაც გაჩნდება ხოლერა“ („ივერია“, 1892 გ: 2). იქვე საუბარია დაავადების მხრივ ქალაქ ცხინვალში არსებულ ვითარებაზე: „ცხინვალში სუყველაზედ ძალიან იმ უბანში მძვინვარებს ხოლერა, რომელსაც ისრაელების უბანი ჰქვიან. თუმცა ჰეინე ამბობს, რომ ისრაელები იმ ცომისგან არიან შექმნილნი, რომლისგანაც არის დაბადებული თვით ღმერთიო, მაგრამ ხოლერამ ისინი მაინც არ დაინდო. ყველა სენი წინაპირველად იმათში იჩენს ხოლმე თავს და ეს იმათივე ბრალია. ეს იერუსალიმის მოქალაქენი მეტის-მეტად ბინძურადა სცხოვრობენ“ (დჟურზი, 1892: 2). ჩანს, პუბლიკაციის ავტორი ძალიან განაწყენებული ყოფილა ებრაელთა მიმართ, წერილის მეორე ნაწილში მათ მოსეს კანონდებას ახსენებს და ურჩევს მის აღსრულებას.

დაავადების ხელშემწყობ ფაქტორად ასევე მიჩნეულია სიღარიბე და შიმშილ-სიტიტვლე... „სახალხო გაზეთის“ მიხედვით, XIX საუკუნის დასაწყისში ქოლერა მძვინვარებდა ძვილეთში, სადაც 15 მცხოვრები უმსხვერპლია, ატოცში, ბრეძაში, ქვათეთრში და ოსებით დასახლებულ რამდენიმე სოფელში. მოსახლეობის აზრით,

ქარელიდან დანიშნული ფერშალი ავადმყოფებს ვერ აუდიოდა, ამასთან, უვიცი და მოუმზადებელი ყოფილა. ქოლერის გარდა ფრონის ხეობაში გავრცელებული იყო ციებ-ცხელება და მუცლის ავადმყოფობა: „თითქმის ყოველ ოჯახში კვნესის მთლად ჩამოყვითლებულ-ჩამომდნარი ავადმყოფი, მაგრამ მშველელი არსაიდან არისო“. აღსანიშნავია ისიც, რომ მოწვეული ექიმებისთვის გლეხს, სიძვირის გამო, ხარჯის გაწევა არ შეეძლო და ხშირად უექიმოდ რჩებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით დვანელს ბრეთელი ავადმყოფის მაგალითი მოჰყავს: „სოფ(ელ) ბრეთში ძალიან შეწუხებული ავადმყოფი იყო და მოინდომეს პატრონებმა ექიმის მოწვევა. გაგზავნეს კაცი ცხენით ერთი საათის გზის მანძილზე სოფ(ელ) ქარელში. გაგზავნილ კაცს ქარელში ენახა ერთი ახალგაზრდა, ჯერ კურს დაუმთავრებელი მედიკი, სტუდენტი ა. ტ-ძე, რომელმაც მხოლოდ ექვსი მანეთის მიღების შემდეგ გამოსწია ავადმყოფისკენ. ამგვარად ექიმის ერთი „ვიზიტი“ და წამალი თუმანი დაუჯდათ ავადმყოფის პატრონებს, კიდევ კარგი იმ ჟამად სახლში ფული მოეპოვებოდათ. ჩვეულებრივ გლეხს ექვსი მანეთისა კი არა, ერთი მანეთის გადახდაც უჭირს“ (დვანელი, 1910: 2-3). ავტორი ასევე გულისტკივილით საუბრობს ქარელის მეაფთიაქეთა გულგრილ დამოკიდებულებაზე, ისინი, ხშირად, ახლო-მახლო სოფლებიდან წამლის მისაღებად მისულ გლეხებს თითქმის დილიდან საღამომდე ალოდინებდნენ.

წერილის ავტორი მებორნე ძმების არავიაშვილების თავგასულობაზეც საუბრობს, რომლებიც მგზავრებს დაწესებულ თანხაზე მეტს ახდევინებდნენ: „ბორანზე დანიშნულია ნიხრი, კაცზე ორი კაპეიკი, მაგრამ ეს ვაჟბატონები სრულებითაც არ აქცევენ ყურადღებას ნიხრს და ორი კაპეიკის ნაცვლად შაურიანებს იღებენ ხშირად“, მაგრამ ამას ვინ ჩივის, მთავარია, დროზე გაგვიყვანონ და მატარებელს მივუსწროთო.

დვანელი ფრონის ხეობაში ფეხმოკიდებულ ათასნაირ ცრუმორწმუნოებაზეც წუხდა. ცრურწმენის ზოგად გამოვლინებად მკითხაობა ითვლებოდა, რომელიც საკმაოდ ყოფილა ქართლში გავრცელებული. სწორედ ხალხის მომტყუებელ ერთ-ერთ მჩხიბავზეა საუბარი 1901 წლის 17 აგვისტოს „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ ანტონისძის წერილში „სოფელი ახალგორი“: „ამ ყრუ სოფლებში[3] ერთი ვიღაცა ვაჟბატონი გაბატონებულა; იმ ვაჟბატონის სახელი ივანეა. ტომით აისორი, მაგრამ თავის თავს ბერძენს უწოდებს. საფრანგეთში გავათავე ფაკულტეტი და კარგი მკითხავი და ექიმი ვარო. იგი დროებით ს. მონასტერში იმყოფება და იქიდან დაჰყავთ, სადაც გასაჭირი არის. მკითხაობა მორიგებაზე არის, მაგრამ მანეთ ნაკლებ აღარ შეიძლება. ვინც რამეს დაჰკარგავს, მაშინვე ამ ვაჟბატონთან მიდის სამკითხველოდ, ამ ვაჟბატონმა ვითომც გიჟების მორჩენაც უნდა იცოდეს. ეს ვაჟბატონი ხაზინებსაც ეძებს, ძველ დროს შენახულებს. ამას წინად სამს ალაგას ათხრევინა მიწა თითო კვირა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი უპოვნია, ხალხი მაინც უკან დასდევს, როგორც დიდ ბრძენს და ნასწავლს“ (ანტონისძე, 1901: 3).

მკითხაობა განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ჟამურელ ოსებში: „არა მხარეში არ მოიპოვება იმდენი მკითხავი, რამდენიც აქ. ყველა მკითხავთა შორის განთქმულია მათე ყ-შვილი, მისი სიტყვა ხალხს ღვთიურ სიტყვად მიაჩნია. ხალხს რომ უთხრას: დღეს ნუ მუშაობთო, „სირხი ძვარი“[4] ჯავრობსო, რაც უნდა გაჩქარებული მუშაობა ჰქონდეთ, თავი უნდა გაანებონ; ან რომ უთხრას ვისმე: ესა და ეს ხარი უნდა დაუკლა „სირხი ძვარსაო“, ის დაუყოვნებლივ აასრულებს“ (ცხვედაძე, 1886: 2-3).

მკითხაობის, როგორც იმ პერიოდში არსებული ცრუმორწმუნოების ერთ დიდ სენზე, 1915 წლის 23 დეკემბრის ყოველდღიურ საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ „საქართველოშიც“ არის საუბარი. ავტორი სოსოს ფსევდონიმით, გვამცნობს, რომ ამ სენს როგორც დაბალ, ისე საშუალო შემლების ხალხში ჰქონდა ფეხი

[3] იგულისხმება ქსნის ხეობის სოფლები.

[4] ოსების სალოცავი.

მოკიდებული. იგი იხსენებს გორის მკითხავს, ვინმე გრიქურიოვს, რომელთანაც აქტიურად დაიარებოდა „არა მარტო დაბალი ხალხი, როგორც გორის, ისე ახლო-მახლო სოფლელებისა, არამედ ბევრი ინტელიგენტიც“ (სოსო, 1915: 4).

სოფელ ლამისყანაში უცხოვრია კიდევ ერთ მკითხავ კაცს, რომელიც მახლობელი სოფლების მაცხოვრებლებს „უტიფრათ“ ატყუებდა. მკითხავი ჰყოლიათ სოფელ მუხრანშიც, სადაც მცხოვრები მოლა ავადმყოფს ზოგჯერ საკუთარ, ზოგჯერ დაავადებულის სახლში რაიმე ნიშანზე ულოცავდა. სამკითხაოში აძლევდნენ ფულს, თივას, ფუჩეჩს და სხვა. „გლეხს გაუხდება ავათ ვინმე, შეხვდება რამე გადამდები სენი, მუშაობის დროს იტკენს რამეს, ნაღვინევს დაემართება რამე უბედურება, თუ საქონელი დაეხუთება, მაშინვე მიეშურება მკითხავისაკენ, რომელნიც ბლომად არიან აქეთკენ. მკითხავი შეულოცავს ავათმყოფს, მისცემს წამალს და თანაც დააბარებს: აი ეს წამალი, ასვი, როგორც მე გითხარი და თუ არ არგოს(,) კიდევ მნახე. თავის ხელობას იგი ძვირად აფასებს, ამ ბოლო დროს ისინიც აჰყვნენ ფეხის ხმას და მკითხაობის ნიხრი ასწიეს“ (სოსო, 1915: 4).

ქართლელი გლეხის გულუბრყვილობასა და გაბითურებაზეა საუბარი გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის 11 სექტემბრის პუბლიკაციაში „ქართლიდგან“: ერთ გლეხს ღამით ცოლი დაუკარგავს. მთელი ღამე ეძებდა თურმე შეწუხებული. განთიადისას მშვიდი სახით დაბრუნებულა დიაცი. ხატმა წამიყვანა, ეკლესია დამაგვევინა, იქაურობისთვის მომავლევინა და დილით ადრე უკან გამომისტუმრაო. დაიჯერა თურმე გულუბრყვილო გლეხმა. „ეხლა ქალი ღამეებს სახლში არ ატარებს, ქმარიც აღარ სძებნის ცოლს და დარწმუნებულია, რომ ხატს მიჰყავს იმის ცოლი. სოფელში-კი ამის თაობაზე სხვა გვარი ჭორი დადის: კარგად ვიცით სად დადის ეგ ქალი ღამ-ღამობითო" (ივერია, 1886: 2). ...ადვილად ტყუვდებოდა გაუნათლებელი გლეხკაცი. ამიტომაც ცდილობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მეტი სკოლის გახსნას, უცოდინრობის ლიკვიდაციას. „სახალხო გაზეთის“ ავტორი სინანულს გამოხატავს იმის გამო, რომ მთელ ფრონის ხეობაში მხოლოდ სამი-ოთხი სკოლა იყო და იქაც „საყველპურო“ წერა-კითხვის მეტს არაფერს ასწავლიდნენ, ასეთ სკოლაში შვილის მიბარება გლეხს დროის დაკარგვად მიაჩნდა და სკოლისთვის თანხის შეწირვა - ზედმეტ ბარგად. „ამით მე იმას არ ვამბობ, რომ გლეხს სწავლა-განათლება ეჯავრებოდეს, პირ-იქით ის სულითა და გულით მოწადინებულია სწავლის შეძენის, თუ დაუარსებენ ისეთ სკოლას, სადაც შვილები პრაქტიკულად სასარგებლო ცოდნას შეიძენენ“ - წერს დვანელი (დვანელი, 1910: 2-3 ბ). ფრონეში არსებული სკოლებიდან ავტორს ასეთად მხოლოდ თავად კოსტა (კონსტანტინე) ამირეჯიბის მიერ დაარსებული ავლევის სკოლა მიაჩნდა, რომლითაც აქაური გლეხები დიდად დაინტერესებულნი ყოფილან: „მშვენიერი სანახავია, როდესაც პატარა ბალღები მხიარულად და ხალისით მუშაობენ ბაღშიო“. სკოლის მასწავლებელს მიხეილ ედილაშვილს ზედმიწევნით სცოდნია სოფლის მეურნეობა და ხეხილის საუკეთესო ბაღ-ვენახიც ჰქონია სოფელ ბრეთში გაშენებული. ავტორი იმედოვნებდა, რომ ავლევის სკოლა ახლო მომავალში საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცეოდა და ხალხს დაუფასებელ მაგალითს უჩვენებდა. ამის გარანტად მას კონსტანტინე ამირეჯიბის უანგარობა და სიკეთისადმი ერთგულება მიაჩნდა: „ამ სკოლისთვის არაფერი დაუზოგავს თავ. კ. ამირეჯიბს მატერიალურ დახმარების მხრივ და იმედია შემდეგშიაც არ მოაკლებს თავის მზრუნველობას და ამით ხელთ-უქმნელს ძეგლს დაიდგავს ჩვენი დაბეჩავებული გლეხკაცის გულშიო“ (დვანელი, 1910: 2-3 ბ).

წინა პუბლიკაციისგან განსხვავებით, აგვისტოს კორესპონდენციაში მოსავლის ნაკლებობაზეა საუბარი. გლეხს იმის მესამედიც ვერ მიუღია, რისი იმედიც ჰქონდა. ქვენა ქარის გამო მარცვალი ვერ დასრულებულა. მოურწყაობასა და წყლის სიძვირეს მძიმე

მდგომარეობაში ჩაუყენებია ვენახებიც, ვაზს ფოთოლი შეუყვითლდა და შემჭკნარი მტევნები ძირს ცვივაო.

არც მომდევნო წელი ყოფილა ნაყოფიერი ფრონელებისთვის; პურის მცირე მოსავლიანობაზე საუბარი 1911 წლის 7 ოქტომბრის პუბლიკაციაში „ხმა სოფლიდან“ (ფრონის ხეობა). „წელს აქეთკენ ნაკლები მოსავალი იყო პურისა და რაც მოვიდა, იმასაც ბალახის თესლი მოჰყვა. სიმინდის მოსავალს კი არა უშავს რა, თუმცა ესეც რჩევით მოვიდა: ზოგან კარგი იყო და ზოგან არა“ - წერს „დვანელი გლეხი“. ზოგს მოუსწვრია და მოსავალი ადრე დაუბინავებია, მაგრამ ვისაც დაბინავება დაგვიანებია, ისინი მოულოდნელი ავდრებისაგან და სიცივისგან კიდევ უფრო შეფერხებულან და მოსავალი გაურჩევლად უსველდებოდათ. ჭირნახულის მოუსავლიანობა გლეხს აღარიბებდა და აიძულებდა ვალის გადახდის გამო მევახშის ხელში ჩავარდნილიყო.

არც ვენახები ყოფილა კარგ მდგომარეობაში, წარსულში არსებულ ზამთრის ყინვებს სრულებით მოეღო ბოლო. ავტორი სურვილს გამოთქვამდა ისეთი ჯიშები გაევრცელებინათ, რომლებიც აქაურ ნიადაგსა და კლიმატურ პირობებს გაუძლებდა. ასეთად კი ამერიკულ ვაზზე დამყნობილი ვენახები მიაჩნდა, რომელსაც მ. ედილაშვილი (სოფელ ბრეთში) და ს. ყიფშიძე (სოფელ დირბში) აშენებდნენ, თუმცა იმასაც დასძენდა, არავინ იცის, რა ნაყოფს გამოიღებს ამათი ცდაო. გულაცრუებულ გლეხს რომ შვილივით ნალოლიავები და ნაამაგარი ვენახით გუთნით არ გადაეხნა, ქართული სამეურნეო საზოგადოების მხრიდან მეტი ყურადღება და ზრუნვა იყო ამისთვის საჭირო. ავტორს ასევე სასურველად მიაჩნდა გლეხებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე წაეკითხათ ლექციები სხვადასხვა დარგის მეურნეობაზე. მართებული იყო მოწოდება - გაეხსნათ სამეურნეო სკოლები, სადაც გლეხის შვილები წერა-კითხვასთან ერთად ისწავლიდნენ ხელოსნობას, დურგლობას, ხარაზობას... ფრონის ხეობაში არც ექიმობის მხრივ ყოფილა სანუგეშო მდგომარეობა, ბევრი სნეული იტანჯება სოფლად და ყურს არავინ უგდებსო. „დვანელი გლეხის“ დაკვირვებით სოფელს სულიერ ამაღლებაშიც ჭირდებოდა დახმარება, რასაც ადრე სოფლის მოძღვარნი აღასრულებდნენ, „დღეს სოფლის მამებმაც ზურგი შეაქციეს თავიანთ სამრევლოებს და თავიანთი შემოსავალ დრამები უფრო აინტერისებთ, ვიდრე სოფლის კეთილდღეობაო“ (დვანელი გლეხი, 1911: 2).

1910-1911 წლების „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული წერილების ავტორი დვანელი და დვანელი გლეხი ერთი და იგივე პიროვნება უნდა ყოფილიყო, იგი ღრმადაა ჩახედული ფრონის ხეობის სოფლების ყოველდღიურ ცხოვრებაში, მართებულად აანალიზებს იმ პერიოდში არსებულ პრობლემებს და გვთავაზობს მათი გადაჭრის გზებს.

ფრონის ხეობის სოციალური ურთიერთობების შესასწავლად საყურადღებო ინფორმაციაა გამოქვეყნებული 1911 წლის 19 თებერვლის წერილში: „ბატონ-ყმობა ფრონის ხეობაში 1840-1860 წ.წ.“ ავტორის მითითებით, მას რამდენიმე სოფელი მოუვლია და „მოსწრებულ გლეხებთან“ საუბრის შემდეგ, გვაწვდის ცნობებს, თუ რა მდგომარეობაში იყო გლეხი ბატონყმობის დროს, რა იყო მისი ავლადიდება და რა ოდენობის ბეგარა ჰქონდა დაკისრებული მემამულის ან სახელმწიფოს სასარგებლოდ. წერილს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის წარსული ყოფისა და ახლანდელის ერთმანეთთან შედარება.

ბატონყმობის დროს გლეხებს ბატონისგან შეწერილი ჰქონიათ „კალოს პური“. კალოობის [5] დროს, მამულის ოდენობისა და შეძლებისდაგვარად გლეხს მებატონის სასარგებლოდ უნდა გაეღო 10-15-25 კოდი პური, კოდი ოთხ ფუთს იწონიდა. იშვიათად ყოფილა შეძლებულ გლეხს 25 კოდზე მეტი გადაეხადა. ვარაუდით, დღიურზე მოდიოდა 1 კოდი პური ანუ 4 ფუთი. „სიმინდის, ქერის და სხვა ჭირნახულის აღებას აგრე რიგად არ ეტანებოდნენ ბატონებიო“.

[5] მარცვლეულის აღებისა და გალეწვის პერიოდი.

კულუხზე (ღვინის ღალა) მეზატონეს საკულუხოდ განკუთვნილი ვენახიდან მოსავლის ¼ უნდა მიეღო. პატარა ვენახებიდან არაფერს იღებდნენ.

როცა ბატონს ვენახში ან კალოზე მუშა დასჭირდებოდა, გლეხი ვალდებული იყო თავისი სამუშაო იარაღებით დახმარებოდა, ასევე თავისივე ურმით და ხარ-კამეჩით ბატონის ძნა უნდა მიეტანა მის კალოზე.

სამკალის დროს ბატონები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ - დღეს სამკალი მაქვს და მეწვიე შენის ყმებითაო. ბატონი რჩეული გლეხებით უნდა სტუმრებოდა მასპინძელს, ვისი ყმაც გაიმარჯვებდა, სახელიც იმ მეზატონის იყო. ავტორს ადგილობრივი გლეხებისგან ფრონესპირელი მომკელების შესახებ რამდენი მოგონება აქვს ჩაწერილი; ერთ-ერთი გლეხის მონათხრობით, სოფელ ბრეძაში გრიგოლ წერეთელს ყველა ბატონი ყმებითურთ მიუწვევია თავის სამკალში. მომკელებს თითებზე ხის გრძელი, მოკაუჭებული სათითეები ჰქონიათ წამოცმული, ორ ხელეურზე ერთი ძნა გამოდიოდა. დაუწყიათ მკა „ჰოოპუნას“ თანხლებით. თავში კიკო და დიმიტრი ფალავანდიშვილების ყმები მოქცეულან: ნინია და დათუკა აჭარაძეები, ბერია ბუზოლაძე (ბუზალაძე). ისეთი კორიანტელი დამდგარა, კაცს შორიდან ომი ეგონებოდაო. მეძნეურები ძლივს ასწრებდნენ თურმე ძნის შეკვრას. „ვინც მეთაური იყო და მისი მოჯიბრე, ისინი მიიღებდნენ საჩუქრებს ფულად, აგრედვე, რაც იმ დღეს საკლავი დაიკვლებოდა, თავ-ფეხი და ტყავიც მათი იყო. საღამოზედ მეთაურს ბატონი ძროხის ტყავს წამოასხამდა ნიშნად გამარჯვებისა“ (Legatus, 1911 ა: 2-3).

ბერია ბუზალაძე და დათუკა აჭარაძე გორში ყოფილან ნაგლების „დასაკეთებლად“. საქაშეთში გზის პირას სამი დღის ყანა ყოფილა მოუმკელად დარჩენილი. გაუგიათ, რომ ყანა ქვრივს ეკუთვნოდა. ბარემ ჩვენს ნამგლებს პირი გაუსინჯოთ და მადლიც ვქნათ, ვინმე საწყლისა იქნებაო - უთქვამთ ფრონისპირელებს. რა ფასად მომიმკითო - უკითხავს ქვრივს. არა დედი, შენ პატარა პირი გაგვასველებინე, სხვა არა გვინდარაო. „დაჰკრეს ნამგლები ამ ორმა კაცმა სამ დღიურ ყანას და ხარის დაშვებამდის ყანა ძირს დასცეს, შემოურბინეს, მზის ჩასვლამდის ყანა ძნად შეჰკრეს. ქვრივი ცას დაეწია, გაუმასპინძლდა, გაუმხიარულდა, მომკელებიც გამხიარულდნენ, გლეხის ვახშმობა გადასულიყო, რომ სახლისკენ გაუტიეს“ (Legatus, 1911 ა: 2-3).

ერთ ერისთავს ავნევის მინდორში ჰყოლია სეფე მომკელები. გამოჩენილ გლეხკაცს, ბერი ფალავანდიშვილის ყმას პავლია სიქთურაშვილს მეძნეური ზურგზე შეუსვამს, თან მკიდა, ხელეურს აწვდიდა, მეძნეური კი მის ზურგზე ძნას ჰკრავდაო. გლეხების აზრით, მათ დროში აღარ იყვნენ ამისთანა ვაჟკაცები, „ქვეყანა გამოიცვალა, ხალხიც დალაჩრდაო“.

ბატონყმობის დროს წესი ყოფილა, გლეხი მემამულეს გუთნებით მიხმარებოდა, რაც სახნავი იყო, უნდა მოხნულიყო. ასევე, ბატონის ბრძანებით, არც ხელმოკლე გლეხის მიწა უნდა დარჩენილიყო მოუხნავი. მეხრე[6] ვალდებული იყო გუთნისდედის[7] მითითებები შეესრულებინა, გუთნისდედები რჩეული გლეხები უნდა ყოფილიყვნენ. ადრე ოქონაში 8 გუთანი ჰყოლიათ შებმული, ბოლოს მხოლოდ - 3, კნოლევში - ადრე - 5, ბოლოს - 2-3 გუთანი.

გლეხი ქალის გათხოვების დროს, ვალდებული იყო ბატონისთვის საჩექმე ფული მიერთმია, რომელიც განისაზღვრებოდა 15-20-30 მანეთის ოდენობით. ვიდრე ამ ფულს არ გადაიხდიდა, ქალს ვერ გაათხოვებდა.

გლეხს თანხა უნდა გადაეხადა ბატონის ან მისი შვილის დაქორწინების დროსაც - 10-20-30 მანეთი. თუ ბატონი ქალს გაათხოვებდა, მზითვად ყმებსაც აყოლებდა. ყოფილა შემთხვევა, როცა ქალი რუსეთში გაუთხოვებიათ და თან ოთხი ყმა გაუყოლებიათ.

[6] გუთანში შებმული ხარის გამრეკი, ხვნის დროს უღლის მარცხენა მხარეს უნდა მდგარიყო.
[7] გუთნის წინამძღოლი.

თუ ბატონს ვინმე დაუზარალდებოდა, სოფელი საერთო თანხით იყიდიდა ძროხას, საკლავს, „კომლზედ კაცი“ კარზე ეახლებოდა, შესაწევს მიართმევდნენ და მიუსამძიმრებდნენ.

გლეხს დაკისრებული ჰქონდა ფოსტის ფულიც, რომელიც ლიტრა-ჩარექობაზე იყო გაწერილი. შემლებულ გლეხს ლიტრიანს უძახდნენ, ნაკლებად შემლებულს - ნახევარ ლიტრიანს, ხელმოკლეს - ჩარექიანს. ფულიც ამის მიხედვით ჰქონდათ შეწერილი - 10-8-5 მანეთის ოდენობით.

საჭიროების მიხედვით გლეხები მთავრობასაც გაჰყავდა ბეგარაზე, სალდათის ბარგი უნდა ეზიდათ.

ოჯახი, რომლის წევრიც ბატონის კარზე მოსამსახურედ იყო, გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა.

განსაზღვრული იყო ყმაზე ბატონის უფლებებიც. ბატონი სხვა ბატონს, მთავრობის მოხელეს ან რომელიმე ჩაფარს თავის ყმას არ დააჩაგვრინებდა. ყმის გალახვის და ურჩობისთვის დასჯის შემთხვევებიც ხშირი ყოფილა (ძროხას დაუკლავდნენ). პუბლიკაციაში ურჩი ყმის დასჯის მაგალითიცაა მოყვანილი: „კალოზედ დილა ადრიან ერთხელ ერთმა ყმამ დაიგვიანა. ბატონიც საცვლების ამარა კალოზედ იდგა და მუშებს ათვალიერებდა, დაგვიანებული ყმაც მივიდა, ძნის შლა დაიწყო. ბატონი ორთითით მივარდა, - რად დაიგვიანე შე ყურუმსაღო! დაუწყო ცემა. - რათა მცემ, ბატონო, ცოტა მომიგვიანდა, წისქვილში ვიყავ საფქვავისათვის. - ბატონი უფრო ბრაზობდა და თან ორთითას უშენდა; ყმამ ვეღარ მოითმინა, ხელი შეუბრუნა, ორთითი დასცხო. ყმა გადავარდა (გაიქცა). გამოიყვანეს მისი ოჯახიდან ძროხა და დაუკლეს“.

ქალი თუ დაქვრივდებოდა, ბატონს უნდა წაეყვანა მოსამსახურედ, მასთან იზრდებოდნენ ქვრივის შვილები. ქალს უფლება არ ჰქონდა უარი ეთქვა ბატონის სამსახურზე. სოფელ ხოდაბუნში მცხოვრებ პეტრე კობერიძის ოჯახში ქალი დაქვრივებულა, ბატონს მისი სახლში მიყვანა მოუსურვებია, მაგრამ იგი ცნობილი ყოფილა თავისი ავხორცობით და კობერიძეს არ დაუნებებია: „აისხა იარაღი, გავარდა ფირალად და ბატონს შეუთვალა, აიღე ხელი ჩემს რძალზედ, თორემ სიცოცხლეს გამოგასალმებო“. მხოლოდ მაშინ უკადრია შეშინებულ თავადს ქვრივისთვის თავის დანებება.

ქალის გაუპატიურება უცხო ყოფილა ფრონისპირელებისთვის. გამონაკლისი წვერში მომხდარი ერთი შემთხვევა იყო თურმე, მაშინაც მოძალადე სიცოცხლეს გამოუსალმებიათ. არც ბატონები იწონებდნენ ავხორც ადამიანებს, საყვედურობდნენ - რად სჩადიხართ მაგისთანა საქმეს, ჩვენც „ეხტიბარს“ გვიტეხავთო.

ყოფილა მებატონეთა მიერ ყმების გაყიდვის შემთხვევებიც: „ყმებში ხმას დააგდებდნენ, მგელ-კაცამ მოიტაცაო. გლეხებსაც სჯეროდათ, სწამდათ გლეხ-კაცა, მაშინ შიშიანობა იყო, ლეკიანობა, უღრანი ტყეებით იყო მოსილი ფრონის ხეობები, დაიწყებდნენ ძებნას და, აბა, სად იპოვიდნენ, უსათუოთ ან იმერეთისკენ და ან კახეთისკენ უნდა გაეყიდნათ“ (Legatus, 1911 ა: 2-3). ერთ მებატონეს ყმა გოგო ქუთაისში გაუყიდია. გოგოს ცოდნია, რომ სოფელ მუღრისში მცხოვრები ტატე მამაცაშვილის ოჯახიდან იყო. როცა დაქალებულა, მამაცაშვილისთვის შეუტყობინებია, მე თქვენი ოჯახიდან ვარ, თქვენს მეტი არავინ მახსოვს, მართალია აქ კარგ ცხოვრებაში ვარ, მაგრამ ჩემი მიწა-წყლის ნახვა მინდა და მნახეთო.

განსხვავებული ყოფილა ადრინდელი სამოსი. ქალები სახლში ქსოვდნენ საჩოხე, საშარვლე და საყაბალახე შალებს, ყველა გლეხს ეცვა დაბამბული ნაშურის ახალუხი, შალის შარვალი და „ტყავზედ ჩოხა“. თავზე ეხურათ ცხვრის ტყავისაგან დამზადებული კალმუხის ქუდი. ჯვრის წერისას ნეფეს ლეკური ნაბადი უნდა წამოესხა... „როგორ შეიძლებოდა ამისთანა ძონძებში, როგორც ეხლა ვართ, ბატონს ვახლებოდითო“ - სწუხდნენ ახალ დროს გლეხები, მათი გადმოცემით, უწინდელი ცხოვრება უკეთესი

ყოფილა ღვინით, პურით, მოსავლით. სამი დღისა რომ დაგვეთესა, სამოცი კოდი პური მოგვდიოდაო, ფუთი - 25-30 კაპიკი ღირებულა, „ტფილისში რომ ჩაგვეტანა ერთი ურემი პური, 20 მანეთს ძლივს ავიღებდით, მისვლა-მოსვლა ერთ კვირეს უხდებოდა. ღვინო თავზედ სასხმელი გვქონდა. არაყს ძვირათ თუ ვინმე გამოხდიდა. სიმინდიც მოგვყვანდა, ეხლა კი ცარიელი ჭადით კუჭს ძლივს ვიძღობთ, ისიც ნახევარ-წელიწადი მონასყიდენი ვართო“.

გლეხები მუშაობდნენ ქირაზე, გუმბრში მარილზე დადიოდნენ, ფოთიდან შაქარი მოჰქონდათ, ჩადიოდნენ ასევე ქუთაისში, ქირის ხარი და კამეჩი სხვა ჰყოლიათ, გუთანში შესაბმელად სხვა. ქირაზე თვეობით ყოფილან, საიდანაც შემოსავალს 20-30 მანეთს იღებდნენ.

გლეხები შეძლებულნი იყვნენ, პურ-ღვინო არ აკლდათ, ხარ-კამეჩის პატრონი ისეთი კაცი არ მოიპოვებოდა, რომ 5-10-15 დღიური ანეული არ მოეხნა. ყველას ჰყოლია საკმარისზე მეტი ცხვარი და ღორი. არც საძოვრის პრობლემა ჰქონიათ, მაშინ ოსები არ ესახლათ ბატონებს და საქონელი ისეთი გასუქებული გვყავდა, ადამიანს თვალი ზედ დარჩებოდაო. ოსების ჩამოსახლებას ქართველი გლეხებისთვის საქონლის საძოვარი მამულები შეუმცირებია.

ისეთი შეძლებული გლეხებიც იყვნენ, ბატონების ყურადღებას რომ იპყრობდნენ, მათ შორის დიმიტრი ფალავანდიშვილის ყმა პავლია ნებიერიძე. თავადი ვიქტორ მაჩაბელი სპეციალურად წვევია ფალავანდიშვილს - შენს ყმას მიქებენ და უნდა ვეწვიოთო. თავადები კალოობას მოულოდნელად დასდგომიან თავს ნებიერიძეს: „პავლიას ჯალაბობა კალოზე ტრიალებდა, რვა უღელი ხარი ება“. მასპინძელს სტუმრები მაშინვე სახლში მიუწვევია, სუფრა გაუშლია, ქვევრი მოუხდია, დეკეული წამოუქცევია, შუაზე გაუჩეხია და ისე, რომ გატყავებას არც დალოდებია, სამწვადეები ამოუჭრია და შამფურზე წამოუგია. თვითონაც მოულხენია და სტუმრებიც გაუმხიარულებია. არც კალო მოუცდენია, ჩვეულებრივ მუშაობდნენო. „აი, ამისთანა გლეხები იყვნენ მაშინ. წინად უერთმანეთოდ პურს არა ვსჭამდით; რომ კვირაში ერთხელ მაინც არ დაგვეძახნა, არ შეგვეძლო. ეხლაკი სუფრაზე რომ ვინმე შემოგვესწროს, მაშინვე ყველაფერს ვმალავთო“ - წუხდნენ გლეხები.

ვინც კარგი მომღერალი იყო, ბატონები სუფრასთან იწვევდნენ. დაიწყებდნენ გლეხები, ამოუდგებოდნენ მხარში ბატონებიც, ერთად შემოსძახებდნენ ქართულს. მაშინ ცნობილ მომღერლებად მიიჩნეოდნენ: ანდრო რაჭველიშვილი და გლახა აჭარაძე, მათი ზარივით ხმა ორ ვერსზე ისმოდაო.

დღეობებში ბატონებს ურმებით მიჰქონდათ ლოგინი, სანოვაგე, საკლავი, ღვინო. ღამეს კარავში ათენებდნენ. ლხინის თანმდევი იყო ცხენებით ჯირითი და თასზე ჯოხის სროლა. ბატონების რჩეულ ფალავნებს შორის იმართებოდა ჭიდაობა, რომელსაც თან სდევდა ჩხუბი, ხანჯლის ტრიალი.

ბატონები ყმებზე მას შემდეგ გაგულისებულან, როცა ბატონყმობის გადავარნაზე დაწყებულა საუბარი.

პუბლიკაციაში ხიზნების [8] გადასახადზეცაა ყურადღება გამახვილებული; ხიზნებისგან ბატონები მოსავლის მეექვსედს იღებდნენ და „მუშას რაც დასჭირდებოდა: ცხენიან კაცს, ძღვენს, საყველიეროს, საკლავს, სარს, მარგილს“, ახლა „ხიზნები იხდიან მუშას - 18-24-30, ერთი ურემი მარგილი, ორ წელიწადში ერთხელ საკლავი, საყველიერო, შობისა და აღდგომის ძღვნები (1 ქათამი, სამი ხმიადი, 1 ჩარექა არაყი) ყვავილობის დროს: ჯონჯოლი ერთი ლიტრა, ერთი ურემი შეშა და დღიურზე 1 ½ კოდი ჭირნახული (-7 ½ ფუთი)“.

[8] მამული არ მქონე გლეხი, რომელიც სარჩო-საბადებელს იჯარით აღებული მიწის დამუშავებით მოიპოვებდა.

ბევრი რამ ჩანს გლეხების მოგონებებიდან, მათ შორის წინაპრებისა და წარსულის გაიდიალება და აწმყოს მიუღებლობა. უფრო მეტიც, ქვეყანაში მიმდინარე აგრარული მოძრაობის კვალდაკვალ ბატონებისადმი პატივისცემის განცდაცაა მათ ხსოვნაში ჩარჩენილი, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს.

წერილის დასასრულს ავტორი ერთმანეთს ადარებს XIX საუკუნის 40-60-იანი წლებისა და XX საუკუნის დასაწისის გლეხთა მდგომარეობას. ისმის კითხვა, რა შეღავათი მიიღო გლეხმა ბატონყმობის გადავარდნით? ბატონს აღარ ჰქონდა უფლება ყმები გაეყიდა ან სახლში ჰყოლოდა, „სხვაფრივ კი ხარჯების მაგიერ ყველაფერი მოგვემატაო - წუხდა გლეხი - რაც მამული გვეჭირა, ნახევარი ჩამოგვერთვა, ნახევარშიაც ისევ გადასახადი გვაქვს. ჩამონაჭრები სხვას გადასცეს, აზნაურები ჩაგვისახლეს. ბატონებმა ახალ მოსულებს ტყეები გააჩეხინეს, თავისუფალი ადგილები მათ ხელში ჩაყარეს, ტყე შეგვიკრეს, საბალახე ბაჟი დაგვიდეს, მასალა გვჭირდება - სალბაშს ვიხდით. თუ ისევ გვიჭირავს ნადელ გარეთ, დღიურზე გადაკვეთით უნდა ვიხადოთ 2-3 მუშა, 1 ½ - 2-3 მ. ანუ 7 ½ -10–15 ფუთი ჭირნახული, ან არადა - მოსავლის ერთი მესამედი უნდა მივართვათ ბატონს კარზე“. მოსავლის კლებასაც უჩივის გლეხი, ახლა ერთ დღიურზე დიდი ამბავია 4-6-7 კოდი მოგვივიდესო. ნედელზე (მიწის ნაკვეთი) გადასახდელი ჰქონიათ მოსავლის ¼, სახლის ქირა - 3 მანეთი, ტყის ფული - 5 მანეთი. ხარი ყავდა თუ არა, სულ ერთი იყო, ტყის პატრონისთვის 5 მანეთი უნდა მიეცათ. გლეხი წუხდა, რომ ბატონი ძველებურად აღარ პატრონობდა და ყველა მას ჩაგრავდა, თვითონ ბატონიც და უცხოც. ცალკე მამასახლისი უნდა ერჩინათ - 3-5 მანეთს იხდიდნენ სამამასახლისო, სახელმწიფო გადასახადი დღიურ მიწაზე ერთი მანეთი და ზოგჯერ მეტიც იყო. „როზგიც“ არ ყოფილა დავიწყებული...

მტკივნეულია და დამაფიქრებელი ქართლელი გლეხკაცის ღაღადისი: „შემოგვხედეთ, რას დავე(მ)გვანეთ, ადამიანის სახე აღარა გვაქვს, ძონძებში ვართ გახვეული, ჩვენი პატარანი დედიშობილანი არიან, კუჭი ვერ გაგვიძღვია, ერთ ოჯახს ვერა ნახავთ, რომ ჭირნახული არ აკლდეს. ყველა მხრიდან გვეძახიან: გამოიტა! და ჩვენც სულების მეტი აღარა შეგვრჩა რა“ (Legatus, 1911 ა: 2-3).

ნადელების ანუ მიწის ნაკვეთების გამოსყიდვას ეხება „სახალხო გაზეთის“ 1913 წლის 28 მაისის პუბლიკაცია: „მიწის საკითხი ზემო ქართლში“. როგორც შესავალშია მითითებული, 26 აპრილს დაწყებულა ნადელების გამოსყიდვა და სოფელ ოსიაურში მომრიგებელ შუამავალთან მიუწვევიათ ატოცისა და ალის საზოგადოებების დროებით ვალდებული გლეხები და მემამულეები. მათ ნასყიდობის ოქმების შესადგენად და ფულის რაოდენობის გამოსაანგარიშებლად საბუთები უნდა წარედგინათ. ატოცის საზოგადოების გლეხებს გამოსყიდვაზე უარი უთქვამთ. რასაც ორი მიზეზით ასაბუთებდნენ: 1. მამულები ღირებულზე მეტად იყო შეფასებული - დესეტინა 69 მანეთად; 2. მათი საკუთრება მხოლოდ ნახევარი ნადელი იყო და ის უნდა შეესყიდათ. მომრიგებელ შუამავალს გლეხების განცხადება არ გაუთვალისწინებია და მაინც შეუდგენია საანგარიშო ფურცლები.

მომრიგებელს, 29 აპრილს, ამავე მიზნით ოქონის საზოგადოების მებატონენი და გლეხები მიუწვევია. შუამავალმა ხალხს გააცნო ხარჯთამკრები კომისიის დასკვნა სოფლის ნადელების შეფასებასთან დაკავშირებით:

1) თერეგვნის, ხუნდის-უბნის, თიღვის, მუღრისის, ტყის-უბნის, სუნისის, შინდარის და კნოლეს სახნავი მიწების ფასი დესეტინა 31 მანეთი იყო;

2) ნაბაკევის - 42 მანეთი;

3) ოქონის ურწყავი მიწების - 42 მანეთი, სარწყავი - 49 მანეთი.

4) ახალშენის, ავლევის, ცერონისის, თამარაშენის და ავნევის ურწყავი მიწები - 67 მანეთი, სარწყავი - 69 მანეთი.

წერილში ერთმანეთთანაა შედარებული სოფლის მამულები, აღნიშნულია, რომ ახალშენი თერეგვნისა და ხუნდის უბნის შუა მდებარეობდა და „ღირსებით“, თერეგვნის მამული ახალშენისას ჯობდა, თერეგვნის მამულზე უკეთესად კი ხუნდის უბნის მამული მიიჩნეოდა. ახალშენის მამულზე ვარგისი ყოფილა თიღვისა და ტყის უბნის მამულებიც. ამ სოფლის სახნავი მიწების უმეტესობა ურწყავი იყო, რიყის ქვით „მოდებული“, აქედან გამომდინარე, ნაკლებ ფასად უნდა ყოფილიყო შეფასებული. თუმცა „კაბინეტებში მამულის შეფასებამ ეს შეცდომა მოიტანა, 31 მანეთის მაგიერ 67-69 მანეთად შეაფასეს“. ახალშენში მცხოვრებ დროებით-ვალდებულ გლეხებს ეს საკითხი გაუსაჩივრებიათ: „მიახწევენ თუ არა მიზანს, ეგ ღმერთმა იცისო“. თავის მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ ხარჯთამკრებ კომისიაში მონაწილეობდნენ ხარჯის ამკრები ინსპექტორები, თავად-აზნაურთა წინამძღოლი და მომრიგებელ-შუამავალნი. ავტორის სამართლიანი შენიშვნით, კომისიის კრებებზე ყველა რაიონიდან უნდა მიეწვიათ მცოდნე პირნი და მათვის მოესმინათ. ზოგიერთ დროებით ვალდებულ გლეხს 30-40 წლის წინ „შინაური ხელწერილით“ ჰქონია მიწები შესყიდული ან ერთმანეთში „მოცვლილი“. ასეთ „საბუთებს“ შუამავალი არ ღებულობდა. ამგვარი გაურკვეველი ვითარება კი მორიგი სოციალური დაპირისპირების საფრთხეს ქმნიდა, რაზეც პუბლიკაციაშიცაა მითითებული: „შესაძლებელია, ამ ლიკვიდაციის შემდეგ გლეხებსა და მემამულეებს შორის უფრო გამწვავდეს ურთიერთობა, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული შინაური ხელწერილები და ნასყიდობის ქაღალდები. გარდა ამისა, რადგანაც გლეხები მესაკუთრეები ხდებიან, ამის შემდეგ მემამულენი საძოვარში აღარ გაუშვებენ, როგორც დღემდინ უსასყიდლოდ სარგებლობდნენ“ (სახალხო გაზეთი, 1913: 2). ამიტომ საჭირო იყო საძოვრებისა და საბალახოების დროული მოწესრიგება...

სოფლებში სახლის ადგილების ფასი დესეტინა - 100 მანეთი იყო, ვენახის - 138 მანეთი. თუ ვენახში ვაზი აღარ იყო, პირველი ხარისხის სახნავად ითვლებოდა და დესეტინა - 69 მანეთად იყიდებოდა.

ავტორს მოჰყავს ცნობები, სადაც ნაჩვენებია, თუ რა მცირეა იმ ნადელების რაოდენობა, რომელიც გლეხებს XIX საუკუნის 60-იან წლებში გადაეცათ.

ნადელების ცხრილი:

სოფ.:	მთელი სოფლ. ზომა დესეტ.	სახლ. ადგილი		ვენახი		სახნავი		სოფლის შეფასება თითო დეს. მან. კაპ.	ჯამი ნად. ფას. მან. კაპ.	მონად. კომლი
		დეს.	ოთხკ. საჟენ.	დეს.	ოთხკ. საჟენ.	დეს.	ოთხკ. საჟენი			
თერეგვანი	450	1	1550	4	250	50	1800	31	2250	23
ახალშენი	430	2	1500	3	1800	62	900	67 - 69	4673	36
ხუნდის უბანი	442	2	2100	6	1700	77	1500	31	3421/25	61
შინდარა	53	-	600	1	1200	30	1800	31	1285/25	19

გიორგი წმინდა	385	1	-	-	-	-	-	-	-	-
ნაბაკევი	-	-	-	-	-	-	-	42	-	-
სუნისი	126	2	380	2	1300	18	1000	31	1136	20
მუღრისი	500	-	600	-	1200	9	600	31	38/75	6
ტყის უბანი	161 ½	-	850	-	1410	8	940	31	-	3
ოქონა	644	5	1800	8	1650	110	1800	42 - 49	6478/75	75
კნოლე	488	2	1500	4	300	40	2100	31	2112/75	32
ავლევი	958 ½	-	-	-	-	-	-	67 - 69	-	-
თამარაშენი	747	1	900	2	900	55	900	67 - 69	4240/75	20
ავნევი	1500	-	1290	1	1730	52	990	67 - 69	3860/50	-

ავტორის მითითებით, იმდენად მცირე იყო მიწის ნაკვეთები, ხუნდისუბნის ნადელებიდან, იქ მცხოვრები 61 კომლიდან თითოს შეხვდებოდა 2 ¾ დღიური მიწა. თერეგვანში თითო კომლზე 5 დღიური მიწა მოდიოდა. აქაური დროებით ვალდებული გლეხები უფრო უკეთეს პირობებში უნდა იყვნენ, მაგრამ ასე არ არისო - დასძენს ავტორი: „მათ შორის ბევრი ოჯახია ამოწყვეტილი და დღევანდელ ეკონომიურის მიზეზებისა გამო 23 კომლი ძლივს ღინღილაობს. მათ ჩამონაჭერ მიწებზე მებატონეებმა დაასახლეს ხიზნები და ამავე ხიზნებმა ეკონომიურის მხრით დროებით ვალდებულნი გლეხნი დაიმორჩილეს, მათი მამული ფულის სარგებელში დაიგირავეს და მათი სარჩო-საცხოვრებელი ხიზნების ხელში გადადის“ (სახალხო გაზეთი, 1913: 2). ყოველივე ამას კი გლეხების გაღარიბება გამოუწვევია: „დროებით ვალდებულ გლეხებს აღარსაით გასაქანი აღარ აქვთ და სიღატაკეში სული ძვრებათო“. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა სოფლებისაგან განსხვავებით, თერეგვანის, ახალშენის, ხუნდის უბნისა და მუღრისის მამულები გამიჯნული არ ყოფილა, რის გამოც გლეხთა ნადელების ზუსტი რაოდენობის დადგენა რთული იყო.

„საფალავნდო მამულში“ ხიზნების დასახლების შესახებ საყურადღებო ცნობებია გამოქვეყნებული 1913 წლის 13 ნოემბრის ნომერში. წერილის მიხედვით, ფალავანდიშვილების კუთვნილი „მასალის ტყე“ 12 490 დესეტინას შეადგენდა, „ბუჩქნარ-წვრიმალა“ ტყეს 2233 დესეტინა ეკავა, ხიზნები 9820 დესეტინას ფლობდნენ, დროებით ვალდებულ გლეხებს „უსტავნი გრამოტით“ მიღებული ჰქონდათ 655 ნახ. დესეტინა და სარგებლობდნენ ტყითაც - 300 დესეტინა. გლეხებზე და სხვა პირებზე საკუთრებაში გადავიდა 20230 დესეტინა, მემამულეებს დარჩათ - 2000 დესეტინა.

საფალავანდოში ხიზნების დასახლება დაიწყო XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, ამ დროისთვის მემამულეებს ხიზნები დაუსახლებიათ: ბალთაში, ძაღინაში, ოჟორაში, წორბისსა და ბეყმარში. ამის შემდეგ ხიზნების დასახლება მასიურად ხდებოდა ხეობის მთიან რეგიონში. 1850 წლიდან გაშენებულა სოფლები: ღარისთავი, მეტეხი, სხლითი, ხტანა, თორმანეული, ამბრეტი, განიანთკარი, ხოდა, ფრინევი, მუღრისი და ქვათეთრი. ავტორის დაკვირვებით „მემამულეები ერთი-ერთმანერთის ჯიბრით - არა ძალ-მომრეობით და არა ადგილ-მამულის დაჭერით, ასახლებდნენ ხიზნებს და ამ შეუხებელ ტყეებს ქართლის სიმდიდრეს უწყალოდ სისტემატურად აკაფვინებდნენ“. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ხიზნების რაოდენობა ერთი-ორად მომატებულა. ამ დროს გაშენებულა სოფლები: ჭურისხევი, ერწო ნაგუთნი, ნავათ-მორევი, ფიჭვიგინა, ლოპანი, გვირგვინა, ლისა, გადიგანა, თელაგინა, ტოტანაური, სამწყალი, კოროჟის უბანი, ციხიანი, თხის ზურგი, ჭვრინისი და გიორგი-წმინდა. „1890 წლიდან მემამულეები არ სცხრებიან და ისევ განაგრძობენ ხიზნების დასახლებას, შეუბრალებლად სპობენ გაუვალ ტყეებს და შენდება შემდეგი სოფლები: ბზების-ხევი, ჯვარი, ბოსტანა, თელიანი და ქიშილას-ახო. ამას არ კმარობენ, ამითი არ კმაყოფილდებიან, დროებით ვალდებულ გლეხებს ართმევენ ჩამონაჭრებს და ზედ ხიზნებს ასახლებენ“ (Legatus, 1913 ა: 3). თერგვანში, ახალშენში, ხუნდის უბანში და შინდარაში მამულები დროებით-ვალდებულ გლეხებს ეკავათ, ბატონყმობის შემდეგ აქაც ჩაუსახლებიათ ხიზნები.

წერილში მითითებულია ფრონის ხეობაში დამკვიდრებული ხიზნების ვალდებულებები: „მემამულის სასარგებლოდ... იხდიან პირად სამსახურს: 1) მახტის ანუ მუშის ფული. თითო კომლი იძლევა ყოველწლივ 6 მანეთიდან-12 მანეთამდის, 2) ვინც ფულს არ იხდის, მუშა აქვთ დადებული 12-დან 24 დღე მოეხმაროს მემამულეს, რაშიც დაისაჭიროებს, 3) ერთი კვირა ცხენიანი კაცი უნდა ეახლოს მემამულეს, 4) ერთი ურემი სარი, 5) ორ წელიწადში ერთხელ ერთი ურემი მარგილი, 6) ერთი საკლავი, 7) შობისა და აღდგომის ძღვნები, 8) საყველიერო, 9) ღალის ქათმები და 10) ღალა კოდ-ნახევარი (7 ნახ. ფუთი) დღიურზედ, რაც მოხნული და დათესილი იქნება, უნდა იხადოს“ (Legatus, 1913 ა: 3). როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საფალავანდოში ხიზნებს ეკავათ 9820 დესეტინა მამული, მათ შორის, მიწების მიხედვით, პირველი ხარისხის სოფლებად ითვლებოდა: ქვათეთრი, ჭვრინისი, ქალეთი, ბალთა, გიორგი-წმინდა, ღარისთავი, ძაღინა, თერეგვანი, ახალშენი, ხტანა, ციხიანი, წორბისი, ბეყმარი, თორმანეული, ხოდა, ფრინევი და სხლითი. მეორე ხარისხის სოფლებად მითითებულია: ლოპანი, მეტეხი, ჩდილი, ღვიაგინა, ამბრეთი, განიანთ-კარი, კროჟის უბანი, თხის ზურგი, სამწყალი და მუღრისი. ვარგის მამულად არ თვლიდნენ: ჭურიხევის, ფიჭვიგინას, ნაგუთნის, ერწოს, მუხაურის, საყარაულოს, ნავათ-მორევის, ლისას, გადიგინას, თელაგინას, ტოტონაურის, გვირგვინას, ჯვარის, ბზების-ხევის, თელიანის, ბოსტანას მიწებს.

სოფლების ცხრილი სივრცისა და მცხოვრებლების მიხედვით[9]:

[9] აღნიშნულ ცხრილთან დაკავშირებით „სახალხო გაზეთის“ №1059-ში გამოქვეყნებულია შენიშვნა - შეცდომის გასწორება: „წინა წერილში, რომელიც იყო მოთავსებული „სახალხო გაზეთის“ 1042 ნომერში, ცოტა კორექტურული შეცდომა არის და უნდა გასწორდეს, როგორც არის ნაჩვენები ცხრილში ციფრები ნადელ გარეთ, უნდა იყოს მარცხნივ ციფირები (ციფრები - დ.ა.) ნადელით და

სოფლები	სახაზინო		სანადელო		სოფელს რამდენი დესეტინა წვრიმალა ტყე უჭირავს	სოფელი რა ეროვნებას ეკუთვნის
	მცხოვ რებნი	სახნავი დესეტ.	მცხოვ რებნი	სახნავი დესეტ.		
ქვათეთრი	38	324	-	-	-	ოსი
ხოდა-წუნარის, არკნეთი და კროჟის უბანი	39	340	-	-	72	ოსი
ბოყმარი, თორმანეული, ამბრეთი და განინ-კარი	135	800	-	-	70	ოსი
სამწყალი, ფრინევი-თხის ზურგი	36	350	-	-	228	ოსი
სხლითი	47	222	-	-	200	ოსი
მუღრისი	32	400	8	ნადელ გარეთ 10+20	60	ოსი და ქართველი
წორბისი-ღვიაგინა	65	500	-	-	700	ოსი
ცხიანი (ციხიანი)	19	250	-	-	50	ოსი

მიმატებული მარჯვნივ ციფრები კი ნადელ გარედ... აგრედვე უნდა დავუმატო, რომ იმ სახაზინო სოფლებში მადნების ნიშნებია უნდა იყოს აღნიშნული და ყველამ ყურადღება მიაქციოს, რომ მადნები მემამულეების საკუთრებად უნდა დარჩეს, როდესაც ხიზნებზე მამული საკუთრებად გადავა.

გამოტოვებული დამრჩა იმავე ცხრილში სოფ. თამარაშენის ხიზნები - 22 კომლი, რომლებსაც მათი ვარაუდით უჭირავთ 75 დესეტინა სახნავი მამული, ესენი ყველანი ქართველები არიან“ (Legatus, 1913 ბ: 3 (მითითებული შენიშვნის მიხედვით, ცხრილში ვამატებთ თამარაშენსაც - დ.ა).

ხტანა	79	400	-	-	-	ოსი
ოჟორალისა	41	350	-	-	150	ოსი
გადიგინა-თელაგან ტოტანაური	17	150	-	-	450	ოსი
ახალშენი	10	100	36	ნადელ გარეთ 68+62	200	ოსი და ქართველი
თერეგვანი	27	200	23	ნადელ გარეთ 56+44	150	ოსი და ქართველი
ძაღინა	42	270	-	-	80	ოსი
მუხური, საყარაულო	15	100	-	-	70	ოსი
ერწო-ნაგუთნი	20	110	-	-	150	ოსი
ნავთი-მორევი	3	15	-	-	25	ოსი
ხუნდის უბანი	15	170	61	ნად. 87 ნადელს გარეთ 100	85	ოსი და ქართველი
ფიჭვიგინა	19	160	-	-	40	ოსი
ჩდილი	11	80	-	-	32	ოსი
ღარისთავი	19	200	-	-	40	ოსი
გიორგი-წმინდა, შინდარა	20	254	19	ნადელ გარეთ 33+57	95	ოსი და ქართველი
მეტეხი	20	100	-	-	150	ოსი
ჭურიხევი	8	50	-	-	100	ოსი
ბალთა	48	180	-	-	35	ოსი
ჭვრინისი-ქალეთი	15	200	-	-	120	ქართველი
ლოპანი-გვირგვინა	11	150	-	-	158	ოსი და ქართველი

ბზების-ხევი	7	35	-	-	40	ქართველი
ჯვართ-თელიანი, ბოსტანა	8	40	-	-	40	ქართველი
თამარაშენი	22	75	147	75	-	ქართველი
ჯამი	866+22 (თამარაშენის)	6600+75 (თამარაშენის)	147	254+283	3120	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ხიზანზე თითო კომლზე მოდიოდა 7 ნახევარი დესეტინა სახნავი, დროებით ვალდებულ გლეხებზე - 1 ¾ დესეტინა.

წერილის ბოლოს ავტორი გვთავაზობს ქვეთავს: „რა გვარად და რა ზომისა უნდა მიეცეს ხიზნებს მამული“: „ამბობენ, რომ ხიზნებად უნდა ჩაითვალოს ისინი, ვინც ბატონ-ყმობის გადავარდნის დრომდის დასახლებულან, ისინი კი, ვინც შემდეგ მისულან, მოიჯარადრეებად უნდა ჩაითვალოს. მერე როგორ? მუდამ ხომ ჩვენ მოიჯარადრეებთან დავიდარაბაში უნდა ვიყოთ?

ჯერ ისინი, ვინც მოიჯარადრეებად ითვლებიან და რომელნიც ჩაბღუიან და ჩაჰკვრიან დედა-მიწას, ყოვლად შეუძლებელია მათი აყრა და მიწების განთავისუფლება მათგან.

ვისაც თავისუფალი მამული უნდა, არ უნდა დაესახლებინათ არც ხიზნები და არც მოიჯარადრეები.

ვინც მიწაში ოფლს ჩაჰღვრის და ამაგს დასდებს, იგი ჰპოვებს იმ უფლებას, რომ მიწა ძნელად-ღა ჩამოერთმევა“ - წერს ავტორი და იშველიებს ზემოთ მოყვანილ ცხრილს, რომლის მიხედვით თითო კომლ ხიზანზე 7 ნახევარი დესეტინა სახნავი მიწა მოდიოდა და მისი ჩამორთმევა შეუძლებელი იყო. „ვსთქვათ, ნახევარი მიეცათ საკუთრებად ხიზნებსა, მერე როგორ გინდათ დანარჩენი ნახევრის მოხმარება? მემამულე ვერ მოხნავს, რადგან სხვა და სხვა სოფლებშია გაფანტული წვრილ ნაჭერებად, სხვას ვერ გადასცემს, რადგან სხვა ხიზანი არ აიღებს, თუ ისევ იმავე ხიზანს მიეცა, ისევ ისე უნდა ეწვალოს მემამულე, როგორც აქამდისინ იყო, ესე იგი, ხიზანი ზოგს დააგდებს ცარიელს, ზოგს საძოვრათ გაუშვებს, ზოგჯერ ღალას არ მისცემს, მემამულე კი სასამართლოებში სიარულს მოუნდება და ამასობაში ცარიელი რჩება. რომ ხიზნები მოიჯარადრეებად შერიცხონ, მათი უარი მოინდომონ, განა საფიქრებელია, ან შესაძლებელია? მაშინ ხომ ომი უნდა გამოვუცხადოთ 900 კომლ ხიზანს“. როგორც ვხედავთ, ფალავანდიშვილების მიწაზე დამკვიდრებული ხიზნები 900 კომლს შეადგენდნენ. მემამულეებს და მათ შორის ყოველწლიურად ჰქონია ადგილი ღალის გამო შეტაკებებს, ბევრჯერ სისხლიც დაღვრილა, ერთმანეთის მიმართ განწყობა დღითი დღე უარესდებოდა და საშველი არ ჩანდა. ავტორი გამოსავალს მემამულესა და ხიზნებს შორის „ყოველივე ანგარიშების“ მოსპობაში ხედავდა. როდესაც ჩვენი მამა-პაპანი ასახლებდნენ ხიზნებს, მაშინ უნდა ეფიქრათ, რომ მამული ხელიდან ეცლებოდათ, ახლა გვიანია, უნდა შევურიგდეთ დროთა ვითარებას და რაც ხიზნებს მამული უჭირავთ, შესყიდვით[10] მათ საკუთრებაში უნდა გადავიდესო. მას მიწების ხიზანთა ხელში გადასვლა ისეთ საფრთხედ არ მიაჩნდა, როგორც უცხო პირზე გაყიდული მამულები, ხიზნების მამული გაუყიდავი მაინც დარჩებაო. უფრო სავალალო ის იყო, რომ მემამულეები „რაღაც ანგარიშების გულისთვის“ ფრონეების სათავეების

[10] სიტყვა „შესყიდვით“ მოცემულ სტატიაში გამოტოვებულია, ვასწორებთ 1913 წლის 4 დეკემბრის „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული სტატიის („ხიზნების დასახლება“) ბოლოს მითითებული შენიშვნის (შეცდომების გასწორება) მიხედვით (Legatus, 1913 ბ: 3).

დამცველ გაუვალ ტყეებში ხიზნებს ისევ ასახლებდნენ. არ იციან მემამულეებმა მამულის ფასი და რაც მალე გამოეცლებათ ხელიდან, ქვეყნისათვის სამჯობინო იქნებაო - გულისწყრომით აღნიშნავდა წერილის ავტორი.

ხიზნების თემის გაგრძელებაა იმავე წლის 4 დეკემბრის „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატია: „ხიზნების დასახლება“, სადაც საუბარია მაჩაბლების, ხერხეულიძეების, ამირეჯიბების მამულზე დამკვიდრებულ ხიზნებზე, ცალკე ქვეთავი ეძღვნება უმამულო ხიზნებს.

წერილის დასაწყისში ავტორი ახდენს მაჩაბლების მამულის ლოკალიზებას: „სამაჩაბლო მამული მდ. ლიახვის ხეობაში მდებარეობს, დაბა ცხინვალიდან იწყება და კავკასიონის უღელტეხილამდის თავრდება. შეიცავს 63000 დესეტინა მამულს, მთაგორიანია, უმთავრესად წარმოადგენს საძოვარს და სათიბს, ფიჭვნარი და ნაძვნარი ტყითაა შემოსილი“ (Legatus, 1913 ბ: 3). სამაჩაბლოში ცხოვრობდნენ სახაზინო გლეხები - ოსები „განსაკუთრებულ პირობებისამებრ“. ისინი მაჩაბლებს უხდიდნენ შემოსვლის 1/10-ს ჭირნახულიდან და თივიდან; ვისაც ორ ძროხაზე, უღელ ხარზე და ორ ცხენზე მეტი საქონელი ეყოლებოდა, მებატონესთან შეთანხმებით უნდა გადაეხადა საძოვრის გადასახადი. ტყით სარგებლობისას, „საშინაო მოსახმარისად“ უფასოდ ეძლეოდათ, ხოლო თუ ტყის მასალის გაყიდვას მოინდომებდნენ, გარკვეული ოდენობის ბაჟი უნდა გადაეხადათ. ადრინდელი აღწერით, ზემოხსენებული სახაზინო გლეხები ანუ მოიჯარადრენი, ცხოვრობდნენ სამ საზოგადოებაში: 1) როკის - 413 კომლი, ჯავის - 727 კომლი და 3) ჯემულთის - 337 კომლი, სულ 1477 კომლი. მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

ოსები მისდევდნენ მესაქონლეობას და ამზადებდნენ საუკეთესო ყველს, განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება ყოფილა ოსურ გუდის ყველზე. მათ მეურნეობაში მარცვლეული კულტურების ხვედრითი წელი მცირე იყო, უფრო ქერი და შვრია მოჰყავდათ, იმის გამო, რომ საკმარისი რაოდენობას ვერ იღებდნენ, ცხინვალიდან ცხენებით მოჰქონდათ სიმინდი და პური.

აღნიშნული მამულების გარდა მაჩაბლები ფლობდნენ სოფელ ძარს, ტყით - 4000 დესეტინა, სოფელ რუსთავს - 1000 დესეტინა და ბრალი-დამპალეთს - 500 დესეტინა. ამ სოფლებში ირიცხებოდა 175 კომლი ოსი, აქედან 30 კომლი ხიზანი იყო, რომლებსაც ეკავათ 200 დესეტინა მამული. დანარჩენი გლეხები მოიჯარადრეებად ითვლებოდნენ და ამ მამულებითვე სარგებლობდნენ.

ავტორის დასკვნით: სამაჩაბლოს განსაკუთრებით მოიჯარადრენი 1477 კომლი მთელი სამაჩაბლოთი სარგებლობდნენ, ეკავათ 61 800 დესეტინა მიწა, მხოლოდ 1200 დესეტინა მიწა რჩებოდა ამ მხარის ძველი მოსახლეობის - თავად მაჩაბლებისა და დროებით ვალდებული გლეხების ხელში.

მდინარე ფრონის (დვანის წყალი) სათავეები ხერხეულიძეებს ეკუთვნოდათ, იგი ესაზღვრებოდა მაჩაბლებისა და ფალავანდიშვილების მამულებს, სივრცით 2118 დესეტინა იყო, აქედან სოფელ წუნარს - 918 დესეტინა ეკავა, დანარჩენი 1200 დესეტინა საყორნისოდ იწოდებოდა. წუნარი ვაკე ადგილზე იყო გაშენებული, სოფელში 518 დესეტინა სახნავი მიწა ყოფილა, 400 დესეტინა - ბუჩქნარი ტყე. ცხოვრობდა 44 კომლი ხიზანი და სახაზინოდ ითვლებოდა 200 დესეტინა მიწა, დანარჩენი 318 დესეტინა საიჯარად ჰქონდათ იმავე ხიზნებს აღებული. ყორნისში სახნავი მიწების ოდენობა 500 დესეტინას შეადგენდა, 700 დესეტინა „მასალის ტყეს“ ეკავა. ცხოვრობდა 118 კომლი, საიდანაც მხოლოდ ხუთი კომლი იყო ხიზანი, მათ 30 ნახევარ დესეტინამდე მიწა ეჭირათ, დანარჩენები მოიჯარადრეებად ითვლებოდნენ. წუნარისა და ყორნისის სახნავი მამულები საუკეთესოდ ითვლებოდა, ოსები ორივე სოფელში ცხოვრობდნენ.

ამირეჯიბების სამფლობელო, რომელიც წყაროში საამირიჯიბო მამულადაა მოხსენიებული, მდინარე ფრონის (ალის წყალი) სათავეებს მოიცავდა და ატოცისა და

ალის საზოგადოებებს მოჰყვებოდა, სულ 9046 დესეტინა იყო, აქედან სამი წილი ტყეს ეკავა. საამირეჯიბოში ახლად დასახლებული სოფლები იყო: გვირგვინა, წყველისი და ყობი, სადაც 40 კომლამდე მოიჯარადრე ოსი ცხოვრობდა. საამირეჯიბოს დანარჩენი სოფლები: ჩორჩანა, ზედა ბროლოსანი, კლდის წყარო, მცხეთის ჯვარი, უწლევი და ულუმბა ადრიდანვე იყო დასახლებული და აქ მცხოვრებნიც ისტორიულ ხიზნებად უნდა ჩათვლილიყვნენ, მაგრამ მემამულეების მცდელობით, ისინიც მოიჯარადრეებად ითვლებოდნენ. ყველა ამ სოფელში ქართველები მკვიდრობდნენ, 110-მდე კომლი.

მიახლოებითი გამოანგარიშებით უმამულო ხიზნებად ითვლებოდნენ: საამირეჯიბოში - 170 კომლი, ძველეთში - 25 კომლი, ოქონაში - 5 კომლი, კნოლევში - 3 კომლი, ცერონისში - 40 კომლი და ასე შემდეგ. უმეტესობა ქართველები იყვნენ და ისტორიულ ხიზნებად იწოდებოდნენ. როდესაც გლეხებისთვის ნადელები მიუციათ, ისინი „წრეს გარეთ“ დარჩენილან, „თუმცა კი ისევ მებატონის მამულით სარგებლობდნენ“. ხიზნების ოქმების შედგენისას, ამირეჯიბების მამულში მცხოვრებნი მოიჯარადრეებად უქცევიათ და ბოგანოები გაუხდიათ. უფრო რთულ მდგომარეობაში ყოფილან ძვილეთის, ოქონის, კნოლევის და ცერონისის უმამულო გლეხები, რომლებიც მოიჯარადრეებადაც არ ითვლებოდნენ. გამოდიოდნენ წლიურად, ხან ერთ მემამულისაგან აიღებდნენ სახნავ მამულებს, ხან - მეორე. მამულის გაუმჯობესებაზე კი არც გლეხი ფიქრობდა და არც მებატონე. ზოგიერთ, ერთ დროს უმამულო ხიზანს, მოუხერხებია და მამულები შეუძენია, რითაც დროებით ვალდებულ გლეხებზე უზრუნველი ცხოვრება მოუწყვია (Legatus, 1913 ბ: 3).

ცალკე აღნიშვნის ღირსია პუბლიკაციები, რომელიც ფრონის ხეობის საგანძურს ეხება. 1911 წლის 24 აგვისტოს დაიბეჭდა საყურადღებო წერილი „ქართლის ჭირ-ვარამი“, რომელსაც წამძღვარებული აქვს აკაკის სიტყვები: „ფუ იმ მოედანს, სადაცა ვირები ბედაურობენ! შაბაშ, იმ ერსა, რომელსაც უღირსნი მეთაურობენ“. წერილის შესავალში ავტორი გულისტკენას გამოთქვამს, იმის გამო, რომ მეზობელი ერები ძარცვავდნენ ქართულ წმინდა ტაძრებს და მათთან ერთად სხვებიც ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ძველი ხელოვნების დაუფასებელი ნაშთები.

სტატიის ანონიმი ავტორი მატარებელში შეხვედრია ერთ სომეხს, რომელსაც ორი ტომარა ნივთები მიჰქონდა, მათ შორის ყოფილა: ქართული ძველი ხელნაწერი წიგნები, კარაბადინები, ნახატებიანი ისტორიული ამბები, ბრინჯაოს მაგვარი ნაჯახები, წერაქვები, სხვადასხვა რგოლები, უძველესი ბრინჯაოს მსგავსი ხანჯალი... ერთ-ერთ ნივთზე გამოსახული ყოფილა „რაღაც ცხოველი“, რომელიც, სომეხი ვაჭრის ცნობით, კერპი უნდა ყოფილიყო და შესაბამისად, კერპთაყვანისმცემლობის პერიოდის... ნივთებს შორის ყოფილა ოქროს ბეჭედი, რომელზეც იმპერატორ კონსტანტინეს და ელენეს სახელი ყოფილა ამოტვიფრული, ბეჭედი მათ ნაქონად მიიჩნეოდა. სომეხს ქართული საგანძური ცხინვალში შეუძენია, იქიდან გამოუვლია სხვა სოფლები, მათ შორის, ატოცი... ყველგან მოუკითხავს და „რაღაც“ უპოვია. რადგან საქართველოში შესაფერის თანხას არ უხდიდნენ, ნივთები თურმე საზღვარგარეთ გაჰქონდა და იქაურ მუზეუმებში ყიდიდა. ავტორი მწარედ დაუღონებია ვაჭართან საუბარს: გულს მიკლავდა ჩვენი ერის დაბეჩავება, რომ მნიშვნელოვან სიძველეს უცხოთა ხელში აგდებდაო. სომხისა კი რა უნდა გაკვირვებოდა, ის თავისას ცდილობდა. ქართველები კი ამ დროს ერთმანეთს მტრობდნენ, მეტოქეობდნენ. ზოგიერთ თავადს, საკუთარის გაყიდვას რომ აღარ სჯერდებოდა, ტაძრების სამკაულებისთვის მიუყვია ხელი; საჩხერეში მცხოვრებ გიორგი ივანეს ძე წერეთელს ოქონაში მიუყვანია ორი „პიჯაკიანი“ კაცი. დაუთვალიერებიათ ახალაშენებული ეკლესია და უნახავთ „ხვთაების“ ისტორიული ხატი. სტუმრების წასვლის შემდეგ წერეთელი მღვდელ თადეოზ გელაშვილსა და მედავითნე ნიკო ბათიაშვილს შესჩენია: „ეგ ხვთაების ხატი ტფილისში წამოიღეთ, იქ მარტო სურათს

გადაიღებენ, ერთი შეძლებული გრაფინია არის, ეკლესიას გაგიმშვენიერებს, ზარს გიყიდისო“. გაბრიყვებულან ეს „უბედური მღვდელი“ და მედავითნე...

თავადს და მის თანმხლებ სასულიერი პირებს ტფილისის ვაგზალზე ის ორი „პიჯაკიანი“ დახვედრიათ და ყველა ერთად სასახლის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ვიქტორიაში“ დაბინავებულან.

მეორე დღეს, მასპინძლებს, სურათის გადაღების სანაცვლოდ, „ვითომ ფოტოგრაფიულ აპარატს შუშა გასტეხოდა და სურათი ვეღარ გადაიღეს“, ხატის მიყიდვა უთხოვიათ. მედავითნე ბათიაშვილს ორმოცდათი თუმანი ჩაუდეს ხელში, მღვდელს ას სამოცდაათი თუმანი შეაძლიეს. მედავიდნე დაბნეულა, ფული მაგიდაზე დაუდია და გაქცეულა. მღვდელიც უარობდა თურმე: „დიაკვნისა მეშინიან, ვაი, თუ გამცეს, გამიშვით, ვნახო ის და შემდეგ გნახავთო. ამათ თავი დაახწია, ხვთაების ხატი ანაფორის სახელ(ო)ში ჩაიდო და გამოეცალა“. თავადი წერეთელი მღვდელს გამოსდევნებია: „ჭკუას ნუ ჰკარგავ, ამოდენა ფულს თავისდღეში არ ნახავ. საქმე გაათავე და ეგ ხატი მოგვეციო.“ მღვდლისა და მედავითნეს დაბრუნებამდე, მოძღვარ ზ. ღვადაგაძეს, ოქონის ხატის გატაცების გამო, ატოცის მღვდლის თანდასწრებით სათანადო ოქმი შეუდგენია. სოფლის მცხოვრებნიც ძალიან აღუშფოთებია ამ ფაქტს: „მაგ ეკლესიის განახლებას ჩვენი ცხოვრება შევალიეთ, არც კი არავინ მოგვდგომია, მაგ ღვთაების ხატს მივჩერებივართ, თორემ ჩვენ აქ რა გვედგომებოდაო“. მღვდელი და მედავითნე ხალხისგან შენდობას ითხოვდნენ და ისტორიულ სირცხვილს ხან ერთმანეთს აბრალებდნენ, ხან თავად წერეთელს. საბედნიეროდ, ღვთაების ხატი ხელუხლებელი აღმოჩნდა, ხალხმა მღვდელს ურჩია, თავისი ნებით გაცლოდა სოფელს, ბათიაშვილის გაშვებაც ნდომებიათ, მაგრამ გაუთვალისწინებიათ მისი წვრილშვილობა, დანაშაულის საჯაროდ აღიარება და მიუტევებიათ. წერილის ავტორის მონათხრობით, მღვდელს, მათთვის, ეროვნული განძეულით მოვაჭრის მისამართი გადაუცია: „სასახლის ქუჩა, სასტუმრი „ვიქტორია“, არუთინ კალპაკიანი“. ეს მედროვე თავის თანამძრახველებთან ერთად დადიოდა თურმე სოფლებში, დაჰქონდა უბრალო ნივთები, ატყუებდა მცხოვრებლებს და ძველ წიგნებში ან ნივთებში უცვლიდა.

ოქონის ხატებისა და ტაძრების შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა პროფესორმა იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილმა (ალიმბარაშვილი, 2012). ავტორი აღნიშნულ საკითხს რამდენი წელი იკვლევდა და სრულყოფილად გაანალიზა მის ხელთ არსებული წყაროები, მათ შორის საგაზეთო პუბლიკაციები. აღნიშნულ კვლევას კიდევ უფრო გაამდიდრებს „სახალხო გაზეთის“ ანონიმი ავტორის ცნობა, იგი, როგორც თვითმხილველი, აღწერს ხატს და გადმოგვცემს მის თავგადასავალს: „ეკლესიაში შევედით და „ხვთაების“ ხატი დავათვალიერეთ: ზომა ხატისა არის 5-7 გოჯი (აღნიშნავდა მანძილს ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე - დ.ა.), მთლად შევერცხლილია, ორი კარები აქვს, გადახსნით ორივე კარებს და შუაში ნახავთ ძვალზედ ამოჭრილ მაცხოვარს, მარჯვნივ ღვთისმშობელი უდგა, მარცხნივ იოანე ღვთისმეტყველი, ესენიც ძვალზედაა ამოჭრილი და შეჭედილია ძვირფასი თვლებით. კარებებზე შიგნით აქეთ-იქით ექვსი წმიდანია, აგრედვე ამოჭრილნი არიან ძვალზედ. საუცხოვო ხელოვნებაა, რომ უცქერი განცვიფრებაში მოსდიხარ, ნუთუ ამისთანა ხელოვნების მცოდნენი ყოფილან ქართველები?“ (Legatus, 1911 ბ: 2-3).

1890 წლის 20 სექტემბერს ოქონის ახლად აღდგენილ ეკლესიაში აღწერილ ღვთაების ხატთან ერთად, ღვთისმშობლის ჭედური მეორე ხატიც უნახავს გრაფინია პრასკოვია უვაროვას. აღნიშნულის გარდა, გორის ეკლესიაში დავანებული იყო ოქონის მესამე ხატი.

„სახალხო გაზეთის“ პუბლიკაციის მიხედვით, ოქონის ხატმა მოიარა სპარსეთი, „თონეშიაც კი ჩააგდეს, რომ დაეწვათ; სპარსეთში ერთი ოჯახი ამოსწყვიტა, რადგან ღვთისმშობლის ძვლის ხელი მოეტეხათ და ბავშვის სათამაშოდ აკვანზე ჩამოეკიდნათ, მის მაგიერ ვერცხლის ხელი შეუბამთ, ეხლაც ვერცხლის ხელი ჩამობმული აქვს ძეწკვით.

სპარსეთიდან ეს ხატი შეუძენია ერთ ტფილისელ სომხის ვაჭარს, მის ოჯახსაც უბედურება სწვევია და სიზმრად გამოსცხადებია, რომ ისევ ოქონის ეკლესიაში დაასვენეო. ტფილისში მაშინ სცხოვრობდა მიხეილ ფალავანდიშვილი და ამ სომეხმა მას გადასცა ეს ხატი. მ. ფალავანდიშვილმა შეატყობინა ოქონელებს. ჩავიდნენ, პარაკლისი უხადეს და დიდის ამბით წამოასვენეს და ამდენ გამოვლილ დროთა ჟამში ხელოვნება ისევ დაცულია ამ ხატისა. ჩვენამდე მოახწია და ჩვენი უგვანო მახინჯნი და გარეწარნი არაფერს ერიდებიან და უღირსად ეპყრობიან“ (Legatus, 1911 ბ: 2-3). განსხვავებულია ს. მაკალათიას „ფრონის ხეობაში“ მოყვანილი ვერსია, რომელიც ხალხურ გადმოცემას ეფუძნება, თქმულების მიხედვით, ოქონის ხატი ლეკებს გაუტაცნიათ და სათათრეთში გაუყიდიათ, ხატის მყიდველი მძიმედ დაავადებულა და მკითხავის რჩევით, უკან დაუბრუნებია: „ეს ხატი უკანვე დააბრუნე, თორემ ოჯახიანად ამოწყდებითო“. თათარს ხატი საქართველოში ჩამოუტანია და იმ ადგილს ეძებდა თურმე, საიდანაც ხატი გაუტაცნიათ, შეხვედრია ამილახვარი, ხატი უცვნია და გამოურთმევია. ხატი ჯერ გორში დაუბრძანებია, შემდეგ დამიზეზების შიშით ოქონაში გადაუტანია (მაკალათია, 1963: 53 სქოლიო). უვაროვა კი ლეკებისაგან ხატის დახსნას, თავად წერეთელს უკავშირებს (ალიმბარაშვილი, 2012: 32). „სახალხი გაზეთის“ კორესპონდენციის შემდეგ, რომელი ვერსია უფრო მისაღებია, მკითხველი თავად განსჯის. თუმცა, აქვე, საყურადღებოა ავტორის კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ხატზე დატანილ წარწერას ეხება: „როცა ვათვარიელებდი ხატს, შევნიშნე, რომ უკანა გვერდზედ ასომთავრული ასოებით არის წარწერა, რადგან მე არ ვიცოდი წაკითხვა, მღვდელს წავაკითხე და მან შემდეგი ამოიკითხა: „ოქონის ხატო შეიწყალე უღირსი მონა ქათალიკოსი ევდემონ. ამინ“. ი. ალიმბარაშვილის დასკვნით, ევდემონი ქართულ წყაროებში ცნობილი კათალიკოსი ევდემონ პირველი უნდა ყოფილიყო (1630-1643 წწ.), თეიმურაზ პირველისა და როსტომ ხანის თანამედროვე (ალიმბარაშვილი, 2012: 33).

„სახალხო გაზეთის“ ავტორი ყურადღებას ამახვილებს ოქონის ეკლესიაში არსებულ კიდევ ერთ ძვირფას ხატზე, რომელზეც ღვთისმშობელი იყო გამოსახული, მისი ცნობით ეს ხატიც წაღებული ყოფილა, შემდეგ გორში ერთ-ერთ ეკლესიაში დაუსვენებიათ და უწოდებიათ „ოქონის ხვთისმშობლის ტაძარი. თქმულების მიხედვით, „ერთ ბერს პაპიდაშვილს გაუძრახებია ღვდელი გარსევანიშვილი და ვიღაც რუსს დიდებულისათვის მიუყიდნიათ. მოუვლია რუსეთი, ბოლოს მცხეთის წინამძღვარ ნინოს, ამილახვრის ასულს ჩაჰვარდნია ხელში, შემდეგ ეს ხატი იაკინთე მესხიშვილის ხელში იყო და ეხლა სად არის, დანამდვილებით არ ვიცი, როგორც გადმომცეს, ქართულ გიმნაზიის ეკლესიაში უნდა იყოს და ძალიან სასიამოვნო არის, რომ „ოქონის ხვთისმშობლის“ ხატმა შესაფერის ადგილს მიაგნო“. ავტორი მიგვანიშნებს იმ ფაქტზეც, რომ ხატის აღწერა, მისი ხელოვნება და ისტორია თაყაიშვილის საისტორიო კრებულშია მოთავსებულიო. წერილში გულისტკენაცაა გამოხატული, რომ ასეთი განძის მქონე ოქონის ტაძარი, განახლების შემდეგ უშნოდ და ულაზადოთ გამოიყურებოდა, მისი გაღატაკებული მრევლი კი ქვეყნის დაუსრულებელ ჭირ-ვარამს წარმოადგენსო.

ი. ალიმბარაშვილის ინფორმაციით, საქართველოს გასაბჭოებისა და ოქონას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს მიკუთვნების შემდეგ, სოფლიდან მრავალი ოჯახი აყრილა და შიდა ქართლის სხვადასხვა სოფლებში დამკვიდრებულა. საფრთხის ქვეშ აღმოჩენილი ოქონის ტაძრიდან, სოფლის მკვიდრს, გლახო ჯამუხაძეს ოქონის ხატი, ჯვრები და სხვა საეკლესიო ნივთები ტაძრიდან გამოუტანია და დაცვის მიზნით საკუთარ ბაღში ჩაუმარხავს. ეს ამბავი მალე გაუგიათ საბჭოთა მოხელეებს და განძი წაუღიათ. საბოლოოდ საქმეში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჩკორი ჩარეულა და 1925 წელს სპილოსძვლის ტრიპტიკონი ცხინვალის მუზეუმისთვის გადაუციათ.

1991 წელს, ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, ძვირფასი ნივთი ისევ დაიკარგა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კრისტის აუქციონზე აღმოჩნდა რუსეთის

მოქალაქის ოლეგ ზემლიანიკოვის მიერ გატანილი. კვალის არევის მიზნით ხატს შემოცლილი ჰქონია ვერცხლის პერანგი, ევდემონ კათალიკოსის წარწერა და ძვირფასი ქვები.

ღვთის ნებით, 2004 წელს ოქონის ტრიპტიკონი კიდევ ერთხელ დაბრუნდა საქართველოში და ამჟამად იგი ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდშია დაცული (ალიმბარაშვილი, 2012: 33).

ოქონის გარდა, ავტორი საუბრობს ცხრაკარიან მონასტერზე, იგი მდებარეობს მდინარე ფრონეს მარცხენა შენაკად ოჟორის წყალზე: „ოდესღაც დიდებული იყო, მის გარშემო ცხოვრება სდუღდა, ვენახებით მოფენილი იყო. დღეს დაბურული ტყითაა მოსილი, ხიზან ოსებითაა დასახლებული მისი მიდამოები“ - ვკითხულობთ წერილში. ავტორის ცნობით, ხუთი წლის წინ გზად გაუვლია და ტაძართან უნახავს უშველებელი კარიბჭე ასომთავრული წარწერით, ხუთი წლის მერე ეს კარები აღარ დახვედრია, უთქვამთ - ოსებმა დაამტვრიესო. შესულა მონასტერში, რამდენიმე თაღის გავლის შემდეგ შეუნიშნავს ჩამოვარდნილი კარების ქვა ასომთავრული წარწერით, ტაძარში მხატვრობაც ყოფილა ჯერ კიდევ შემორჩენილი: „ალაგ-ალაგ მხატვრობა შერჩენილა, ჰკვირობ ტაძრის გამოქანდაკებულ სვეტებს, თაღების მოყვანილობას. გუმბათის ნანგრევებს რომ უცქერი და მის გარშემო, რწმუნდები, რომ ამ ნანგრევებში ბევრი რამ არის დამარხული“ (Legatus, 1911 ბ: 2-3).

ცხრაკარიდან გომარეთის ეკლესიაში „გადავდივართ“, რომელიც საფალავანდო მთაში, გომარეთის სერზე მდებარეობს, საიდანაც კანთიელად მოჩანს მდინარე ფრონეები და ვაკეზე გაშლილი სოფლები. ამ ეკლესიაში სულიწმინდის მოფენის დღესასწაულს აღნიშნავდნენ და „დიდძალი ოსობა“ იყრიდაო თავს. წერილში ტაძრის აღწერილობასა და იმჟამინდელ მდგომარეობასაც ვეცნობით: „შიგნით ეკლესიაში თამარ-დედოფლის სურათია დაცული, არის კიდევ სხვა სურათები; ეს ეკლესიაც ინგრევა და ეს სურათებიც ისპობა. შუაგულ დაბურულ ტყეებში, სადაც დასახლებულან ოსი-ხიზნები, მიწაში ქვევრებს პოულობენ. მაღლობებზე შეჰხვდებით აღმართულ ორ არშინიან თლილ ოთხკუთხიან ქვებს, სადაც იკრიბებიან ოსები დანიშნულ დღეებს და სამღვთოს უხდიან. ამ ქვებს არა ეტობათ რა, ხოლო თავზე ამოღრმავებულია ჯამივით. ოსები ამ ქვებს „ბათლომებს“ უძახიან, ე.ი. ჩვენებურად საჯვარე. რას წარმოადგენენ ეს ქვები და რა დროინდელია, ძნელი გამოსაცნობია“ (Legatus, 1911 ბ: 2-3). წერილში წრომის ტაძარზეცაა ყურადღება გამახვილებული, არ მძალიძს მისი აღწერა, რომ შესაფერისად დავაფასო, წრომის ტაძარს ვინც ნახავს, მასში წარსულ დიდებულ საქართველოს ამოიკითხავს და აწმყოში ჩვენს დავრდომილ სამშობლოსო - ერთდროულად გაოცებასაც გამოხატავს ავტორი და გულისტკივილსაც.

ოქონის ხატის ძარცვაზე საუბარია „სახალხო გაზეთის“ 1914 წლის 17 იანვრის პუბლიკაციაშიც: „ოქონის ხვთაების ხატის მტაცებელნი“. ავტორი მკითხველს ახსენებს 1911 წლის 24 აგვისტოს გამოქვეყნებულ წერილს და წუხს, რომ არც ამჯერად ისვენებდნენ „საზიზღარნი მაწანწალა გარეწარნი“, რომლებიც ყველაფერს კადრულობდნენ, რომ ხელში ჩაეგდოთ ჩვენი ეროვნული საგანძური. „დღეს 13 იანვარია - ვკითხულობთ წერილში - საღამო ხანს ამისთანა ძანძაღში მატყობინებენ: ოქონის ხატის მოტაცება უნდოდა ვიღაც ბათომელს, დაიჭირეს და კანცელარიაში ჰყავთო, თქვენცა გთხოვენ, დაესწროთ ოქმის შედგენაზედო“ (Legatus, 1914: 3). შეკრება სოფლის კანცელარიაში გამართულა, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ყოფილან მღვდელი თადეოზ გელაშვილი (რომელიც, ისევ დაბრუნებულა ოქონის ეკლესიაში) და მედავითნე ნიკო ბათიაშვილი. იქვე ყოფილა „ბათომელი“ უცხო კაციც, „დაჭერილი და ნაბეგვი“, პიჯაკში კოპწიად გამოწყობილი, დაბალი ტანის, სუსტი, შავგვრემანი. თადეოზის მონათხრობით, უცხო პირი გიორგი ხარაულსა და მნათე ტიტო აჭარაძეს მიუყვანიათ. „ბათუმიდან ვარ, ცოლშვილი ავადა მყავს და ოქონის ეკლესიაში სალოცავად მოვედი, გთხოვთ ეკლესიის

კარი გამიღოთო“ - იცრუა თურმე ავაზაკმა. ეკლესიის კარის გაღებისთანავე, ღვთაების ხატს მთხვევია და მღვდლისთვის უთხოვია, გიორგი ხარაული ცხენისთვის თივის მოსატანად გაეგზავნა, მნათესთვის კი ბზის ყიდვა შეუთავაზებია. როცა მღვდელთან მარტო დარჩენილა, სასაუზმედ ამოუღია ერთი ბოთლი კონიაკი, ხიზილალა, ზუთხი და სხვა სანოვაგე. მცირე ხანში კი თავის რეალურ განზრახვაზეც ალაპარაკებულა: „ის ხატი, ძვალზედ რომ ამოჭრილია მაცხოვარი, მომიხერხე, ჩამაგდებინე ხელში და, აი, ორმოც თუმანს მოგცემო“. მღვდელი სახტად დარჩენილა, ვიდრე თივაზე და ბზეზე წასულები დაბრუნდებოდნენ, დროის მოსაგებად, სიტყვები „გადაუკიბ-გადმოუკიბავს“... „წინადაც შეცდომაში შემიყვანეს და ეს ხატი წამაბრძანებინეს ტფილისში და საქვეყნოდ შემაჩვენეს და ეხლაც იგივე უნდა დამმართონო“. როცა სტუმრად მოსული კაცის განზრახვა სოფელმაც შეიტყო და ხარაული და მნათეც მივიდნენ, ავაზაკს გაქცევა გადაუწყვეტია, შეირაღებულიც ყოფილა, მაგრამ დაუჭერიათ და რევოლვერი წაურთმევიათ. წერილი ავტორისა და უცხო კაცის დიალოგით გრძელდება, სადაც იგი უარყოფს ბათუმელობას და ამბობს, რომ ტფილისიდან იყო... გამომჟღავნდა მისი სხვა სიცრუეებიც, რომელთა მეშვეობითაც ოქონამდე მიუღწევია. ჯერ თურმე ამირეჯიბების მამულის იჯარით აღება მოუმიზეზებია, მერე კი, როცა უთქვამთ ოქონაში ამირეჯიბებს მამულები არა აქვთო, კვერცხების საყიდლად მივდივარო, მოუმიზეზებია... მღვდელს კი „ავადმყოფ ცოლშვილზე სალოცავად“ გააღებინა ეკლესიის კარი.

გაირკვა, რომ ოქონაში ავი ზრახვებით მისულს იარაღი სათადარიგო პორუჩიკის იოსებ სერგეის ძის მდივანოვის სახელზე ჰქონია გაფორმებული. მის აბგაში სხვა საბუთიც უპოვიათ, სადაც მდივანოვის ნაცვლად მდივანიანცი წერებულა, თუმცა, ავაზაკს, საგულდაგულოდ დაუმალავს თავისი ეროვნება.

სოფელს გადაუწყვეტია საყაჩაღოდ მისული სტუმარი სატუსაღო ოთახში შეეგდოთ, მაგრამ პატარა ბავშვივით მოჰყოლია ღრიალს, ტირილს და ისევ მწერლის ოთახში დაუტოვებიათ.

აი, ასე დასტრიალებდნენ თურმე მძარცველები ოქონის ხატებს, ასე ცდილობდნენ სასულიერო პირების მოსყიდვას, მაგრამ ღვთის ნებით, საქართველოდან რამდენიმე გზის გატანილი ჩვენი ეროვნული სიწმინდეები ისევ ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდა.

დასკვნა. „სახალხო გაზეთში“ ფრონის ხეობის სოფლების შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები მნიშვნელოვანი წყაროა შიდა ქართლის ამ უძველესი კუთხის წარსულის წარმოსაჩენად.

ფრონის ხეობის მოსახლეობა ძირითადად მემინდვრეობას მისდევდა, აქ მცხოვრები გლეხკაცის ეკონომიკური ყოფის განმსაზღვრელი მარცვლეული კულტურებიდან მიღებული შემოსავალი გახლდათ. მოწეული ჭირნახულით ირჩენდა თავს და ისტუმრებდა სხვადასხვა გადასახადებს.

ყოფით პრობლემებს შორის განსაკუთრებით გამოკვეთილია ჩარჩ-ვაჭართა გაქსუებული ბუნება. გასაჭირში მყოფი გლეხები იძულებული ხდებოდნენ მათგან ვალი აეღოთ, „ერთი-ორად“ დაწერილი ვექსილის გადახდას კი ვეღარ ახერხებდნენ და სამუდამოდ ჩარჩების მოვალენი ხდებოდნენ. ვაჭრები ფრონელთაგან დაბევებულ მოსავალს ჩალისფასად ყიდულობდნენ და მამასისხლად ყიდიდნენ.

პუბლიკაციებს ლაიტმოდივად გასდევს, ერთმანეთის შური, მტრობა, გაუტანლობა... ყაჩაღობის გახშირებული ფაქტები.

თვალშისაცემი იყო მჩხიბავთა მიერ ხალხის ძარცვაც, ცრუმორწმუნოება მორალურად ანადგურებდა საუკუნეების მანძილზე გაუტეხელ ქრისტიანულ რწმენას ნაზიარებ ქართველობას.

ყოველივე ამას უსწავლელობა და სკოლების არ ქონა უწყობდა ხელს. ამიტომაც იდგა ფრონის ხეობის მცხოვრებთა წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით სწავლა-აღზრდის საკითხი.

საავადმყოფოების გახსნასაც ითხოვდნენ ქვეყნის ბედ-იღბალზე მზრუნველი ერისკაცები, რადგან გორის მაზრაში არაერთი დაავადება იყო გავრცელებული, მათ შორის მომაკვდინებელ სენად ქცეული ქოლერა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ალიმბარაშვილი, ი. (2013). *ოქონის ხატ[ებ]ისა და ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან.* თბილისი.

ანტონისძე, ს. (1901). ახალგორი (დუშეთის მაზრა). *ცნობის ფურცელი.* №1555, 17 აგვისტო.

დვანელი. (1910)ა. სოფელი დვანი (ფრონის ხეობა). *სახალხო გაზეთი.* №29, 11 ივნისი.

დვანელი. (1910)ბ. მდინარე ფრონის ხეობა. *სახალხო გაზეთი.* №88, 21 აგვისტო.

დვანელი გლეხი. (1911). ხმა სოფლიდან (ფრონის ხეობა). *სახალხო გაზეთი.* №418, 7 ოქტომბერი.

დურზი. (1892). ცხინვალი. *ივერია.* №168, 9 აგვისტო.

ივერია. (1892)ა. ახალი ამბავი. №168, 9 აგვისტო.

ივერია. (1892)ბ. ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ. №168, 9 აგვისტო.

ივერია. (1892)გ. გაკვრით. №168, 9 აგვისტო.

ივერია. (1886). ქართლიდგან. №195, 11 სექტემბერი.

სოსო. (1915). ქსნის ხეობა. *საქართველო.* №175, 23 ქრისტეშობისთვე.

ცხვედაძე, კ. (1886). ჟამური. *ივერია.* №181, 21 აგვისტო.

მაკალათია, ს. (1963). *ფრონის ხეობა.* თბილისი.

სახალხო გაზეთი. (1913). მიწის საკითხი ზემო ქართლში. №904, 28 მაისი.

Legatus. (1911)ა. ბატონ-ყმობა ფრონის ხეობაში 1840-1860 წ.წ. *სახალხო გაზეთი.* №236, 19 თებერვალი.

Legatus. (1911)ბ. ქართლის ჭირ-ვარამი. *სახალხო გაზეთი.* №384, 24 აგვისტო.

Legatus. (1913)ა. ხიზნების დასახლება საფალავანდო მამულში. *სახალხო გაზეთი.* №1042, 13 ნოემბერი.

Legatus. (1913)ბ. ხიზნების დასახლება. *სახალხო გაზეთი.* №1059, 4 დეკემბერი.

Legatus. (1914). ოქონის ხვთაების ხატის მტაცებელნი. *სახალხო გაზეთი.* №1092, 17 იანვარი.

REFERENCES

alimbarashvili, i. (2013). *okonis khat'[eb]isa da t'adzr[eb]is ist'oriidan [From the history of okoni icons and temples].* Tbilisi.

ant'onisdze, s. (1901). akhalgori (dushetis mazra) [Akhalgori (dusheti region)]. *tsnobis purtseli [Tsnobis putseli].* №1555, 17 agvist'o.

dvaneli. (1910)a. sopeli dvani (pronis kheoba) [Village dvani (Fron valley)]. *sakhalkho gazeti [Sakhalkho gazeti].* №29, 11 ivnisi.

dvaneli. (1910)b. mdinare pronis kheoba [Fron river gorge]. *sakhalkho gazeti [Sakhalkho gazeti].* №88, 21 agvist'o.

dvaneli glekhi. (1911). khma soplidan (pronis kheoba) [Voice from the village (Fron valley]. *sakhalkho gazeti [Sakhalkho gazeti].* №418, 7 okt'omberi.

durzi. (1892). tskhinvali [Tskhinvali]. *iveria [Iveria].* №168, 9 agvist'o.

iveria [Iveria]. (1892)a. *akhali ambavi [News].* №168, 9 agvist'o.

iveria [Iveria]. (1892)b. opitsialuri tsnobani kholeris shesakheb [Official information about kolera]. №168, 9 agvist'o.

iveria [Iveria]. (1892)g. gak'vrit [By playing]. №168, 9 agvist'o.

iveria [Iveria]. (1886). kartlidgan [From Kartli]. №195, 11 sekt'emberi.

soso. (1915). ksnis kheoba [Ksani valley]. *sakartvelo [Sakartvelo].* №175, 23 krist'eshobistve.

tskhvedadze, k'. (1886). zhamuri [Jamuri]. *iveria [Iveria].* №181, 21 agvist'o.

mak'alatia, s. (1963). pronis kheoba [Fron valley]. Tbilisi.

sakhalkho gazeti [Sakhalkho gazeti]. (1913). mits'is sak'itkhi zemo kartlshi [Land issue in Zemo Kartli]. №904, 28 maisi.

Legatus. (1911)a. bat'on-qmoba pronis kheobashi 1840-1860 ts'.ts' [Serfdom in the fron valley in the 1840s-1860s]. *sakhalkho gazeti [Sakhalkho gazeti].* №236, 19 tebervali.

Legatus. (1911)b. kartlis ch'ir-varami [Afflictions of Kartli]. *sakhalkho gazeti [Sakhalkho gazeti].* №384, 24 agvist'o.

Legatus. (1913)a. khiznebis dasakhleba sapalavando mamulshi [The settlement of foreigners in the safalavando estate]. *sakhalkho gazeti [Sakhalkho gazeti].* №1042, 13 noemberi.

Legatus. (1913)b. khiznebis dasakhleba [Alien settlement]. *sakhalkho gazeti [Sakhalkho gazeti].* №1059, 4 dek'emberi.

Legatus. (1914). okonis khvtaebis khat'is mt'atsebelni [The thieves of the image of the god of fire]. *sakhalkho gazeti [Sakhalkho gazeti].* №1092, 17 ianvari.